ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
ლისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა
ა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
ართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეექვსე. ხუთშაბათი, ქრისტეშობისთვის 30. 1920 № 179

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

ინსტრუქცია

ა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებულ კონფერენციის მოწვევისა.

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მეკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 ის იანვრის 23 ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არაციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიუნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმე 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრეს არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობესა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი მიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი აზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო მი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ იმ რაიონში არსებული არა სოციალიური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ რტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

ნცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების სახებ და ამ განცხადების გამარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა; 3. არჩევნები მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

საკონფერენციო კომისია.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ხუთშაბათს, დეკემბრის 30-ს

მეხუთედ

ბერდო-ზმანია

მუსიკა დ. არაყიშვილისა.
დეკორაციები მხატვარის
ვალ. სიდამონ ერისთავისა.
სიმფონიური ორკესტრი
ან. გველესიანის ლოტბარ.
რეჟისორი: ალ. ახმეტელი.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

შაბათს, იანვრის 1-ს

დილით

კოტეს დანაშაული

რეჟისორი: ენ. გამრეკელი თოიძე.
დასაწყისი 12 საათზე.

საღამოთი მესამედ

●●● ალუმი ●●●

რეჟისორი: კ. ანდრონიკაშვილი.

სადღესასწაულო საჩუქარი

ბავშვებსა და მოწაფეებს

საბავშვო ლოტო

ქართულ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენაზე

იყიდება საქართველოს რკინის გზის ყველა სადგურებზე და ტფილისის მაღაზიებში.

4—150—1

კოოპერატიულ საზოგადოების

კახეთის

ღვინოები

შეიძლება მიიღოთ პრეისკურანტის ფასებში შემდეგ განყოფილებებში:

თავისუფლების მოედანი, ქარვასლა თამამშოვის მაღაზია საზოგ. ,,კახეთი'' ოლღას ქუჩა, მაღაზია ,,რენესანსი''.

კიროჩნი ქუჩა, ს. № 8, მაღაზია გუნიასი, რაზიეზჟის ქუჩა (ვარანცოვის ძეგლის მახლობლად) მაღაზია ვარდპატრიკოვისა.

წყნეთის ქუჩა, მაღაზია გიგინეიშვილისა და აგრეთვე კოოპერატივ ,,ერთობის'' (,,ედინენიეს'') ყველა განყოფილებაში.

ვისაც ბითუმად სურს დაკვეთა, გთხოვთ მიმართოს თავისუფლების (ერევნის) მოედანზე მაღაზიას, სადაც იყიდება ადგილობრივ და საზღვარგარეთის ფირმების მაგარი სასმელებიც.

საზოგადოება ,,კახეთის'' კონტრ-აგენტები ჯაფარიძე და ჯანელიძე.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს
გამოსათხოვარი სიმფონიური **კონცერტი**
ა. კ. ბოროვსკის და
ე. ი. ბელოუსოვის.
პარასკევს, 31 დეკემბერს
ბალეტის საღამო **მორდკინის**
კარნავალი
— შაბათს, 1 იანვარს —
ოპერა **მუშებისათვის**
ფრა-დიავოლო
ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო ოპერა

დილა

კვირას
2 იანვარს **ქეთო და კოტე**
ორშაბათს
3 იანვარს ,, ,,
სამშაბათს
4 იანვარს **ევგენი ონეგინი**
ოთხშაბათს
5 იანვარს ,, ,,
შაბათს
8 იანვარს **კოპელია**
და ხორეოგრაფის ეტიუდი
კვირას
9 იანვარს **ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

დასაწყისი დილის 12 საათ.

საღამო

ღალატი

მე-20 სიმფონიური კონცერტი
ბოროვსკისა და ბელოუსოვისა
გოთმანის ზღაპარი
აბესალომ და ეთერი
მუშებისათვის ოპერა
ტოსკა
უიჩელი და ხორეოგრაფის ეტიუდი.

საღამოს 8 საათზე

სახელმწიფო თეატრის ადმინისტრატორი.

კვირას, იანვრის 2-ს, დილის 11 საათზე თბილისის რეალ. სასწავლებლის შენობაში მოხდება

◆ დამფუძნებელი კრება ◆

,,მესამე შევარდენის''

ყველა წევრი მოვალეა გამოცხადდეს, მცირე წლოვანთა მაგიერ უნდა გამოცხადდენ მათი მშობლები. წინასწარ წევრთა ჩაწერა მოხდება შაბათს 5—7 საათამდე და კვირას კრების წინ 10 საათიდან. გასარჩევი საკითხები: საზოგადოების წესდების განხილვა, საბჭოს არჩევნები და ,,შევარდენთა კავშირში'' შესვლის საკითხი.

საორგანიზაციო კომიტეტი.

(4— —1)

გამოვიდა და იყიდება

ქართული საუცხოვო

კედლის ნუსხა-კალენდარი

გამოცემა სახელმწიფო ქაღალდების
◆ დამმზადებელ ექსპედიციისა ◆

●● კალენდარი დაამშვენებს ყველას ოთახს ●

პ. პ. ცინცაძის მაღაზია

მთავარი საწყობი. ლორის მელიქოვის ქ., №

ახალი შეურაცხყოფა!

მას შემდეგ რაც დამოუკიდებელი აზერბაიჯანი დაემხო და იქ საბჭოთა რუსეთის აგენტები გამეფდნენ, საქართველომ საბჭოთა აზერბაიჯანისგან პირველადვე შეიარაღებული თავდასხმა განიცადა; ხოლო ამ ომის ლიკვიდაციის შემდეგ საქართველო გარდაიქცა საბჭოთა აზერბაიჯანის მოურიდებელი შეურაცხყოფისა და დაცინვის საგნად. არამც თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო დამოუკიდებელ სახელმწიფოსვე ვერ შეჰბედავს იმ შეურაცხყოფას, რასაც აზერბაიჯანი საქართველოს აყენებს, არამედ მეუფე სახელმწიფო თვის სავასალო ქვეყანასაც ვერ შეჰკადრებს. ილახება ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, აბუჩად აგდებულია ჩვენი სუვერენული მდგომარეობა და დიდი ნივთიერი ზარალიც მოგვდის. ერთჯერაც ვერ შევძელით შესაფერი პასუხი გაგვეცა, და ჭკუაში ჩაგვეგდო გათავხედებული მეზობელი. ყოველთვის ჩვენ გვცემენ ცხვირპირში, ყოველთვის ჩვენ ვრჩებით შეურაცხყოფილი, იმის და მიუხედავად, გამარჯვებული ვრჩებით იძულებით ომში, თუ დამარცხებული, ან თუ ვის ვის წინაშე მიუძღვის ბრალი, ჩვენ სხვის წინაშე, თუ სხვას ჩვენს წინაშე? ყოველივე ეს შედეგია სოციალდემოკრატიული ორჭოფული პოლიტიკისა, და ჩვენი მართველების მჩვარული ხასიათისა. ეს არც აქეთ არც იქითობა, ეს უმტკიცობა და გაურკვევლობა მეტად დიდ ზარალს აძლევს ჩვენს ქვეყანას და ამრავალკეცებს იმ მსხვერპლს, რომელიც უნდა გაიღოს ჩვენმა სამშობლომ თვის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. იმის მაგივრად რომ საქართველოს მმართველთა წრემ და მისმა პრესსამ იტრაბახოს თვისი პოლიტიკის უმცდარობით, ისა სჯობია რომ უფრო ღრმად ჩაუკვირდეს ამ პოლიტიკას და დაინახოს მასში ის სახიფათო ელემენტი, რომელიც გვიმარადივებს როგორც ჩვენი ტერიტორიული სხეულის ჭრილობას, ისე ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დაშლილობასაც.

ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ეს მერყევი ხასიათი ახალ-ახალ ძალმომრეობა—შეურაცხყოფისათვის აქეზებს ჩვენს ორ-ფულებსა და ჩვენს ახდილ მტ[illegible] ჭოთა აზერბაიჯანის ჩვენ[illegible] რის მ. ნერა უმთავრე'აზ ი[illegible] მთავრობის ამ უხასიათობით[illegible]

ყველამ იცის, რომ საბჭოთა აზერბაი[illegible] ჯანი მთელი ექვსი თვის განმავლობაში აჯანჯალებდა იმ ხელშეკრულობის ასრულებას და განვითარებას, რომელიც აქ[illegible] ტაფაში დაიდვა, საბჭოთა აზერბაიჯან[illegible] დამარცხების შემდეგ იმ ომში, რომელი[illegible] მან ძალზედ თავს მოგვახვია. ბოლოს[illegible] როგორც იყო, გასული ნოემბრის 14 [illegible] ჩვენ მივაღწიეთ ერთგვარ სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმებას, რომელიც ხელშემკვრელ მხარეთათვის არის მკაფიოდ განსაზღვრული სავალდებულო იურიდიული ნორმა.

მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანი ამ შეთანხმებას არ იცავს; პირ-იქით, [illegible] შეთანხმებით მოცემულ ჩვენს უფლებას იგი ჩვენივე შეურაცხყოფის საშუალებად იყენებს. ჯერ იყო და 8 ნმა ჩიჩ[illegible] ნავთის გადმოგზავნა შეგვიწყვიტა, ვითომდა იმიტომ რომ საქართველოს მთავრობამ სომხეთში არ შეუშვა სამარშრუტო მატარებელი, ხოლო ნამდვილად კი იმიტომ რომ საქართვ[illegible] მთა[illegible] დააპატიმრა აჯანყების [illegible] ბოლ[illegible] შევიკები. როგორც იყო, ეს ინციდენ[illegible] ამოიწურა და ,,ნორმალური'' მდგომარეობას დავუბრუნდით. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანი ამ ნორმაში დიდ ხანს არ დარჩა.

მან დაიჭირა საქართველოს ექვსი სა[illegible] მ რშრუტო მატარებელი, 240 ცისტერნით და 12 ორთქლმავლით, რომელთაც მ[illegible] ჰყვებოდა 24 საორთქლმავლო და 1[illegible] საკონდუქტორო ბრიგადა; და ამ საქართველოს რესპუბლიკის მატარებლებს, რომელნიც ბაქოში იყვნენ გაგზავნილნი ნავთის პროდუქტების ჩამოსატანად, საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობა დაადგენინებს თავის საჭიროებისათვის მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე!! 5 დეკემბრიდან ჩვენ ერთი წვეთი ნავთი [illegible] მიგვიღია ბაქოდან. რომ შემდეგ მსუბუქებინა უნავთობის მძიმე შედეგები, შინ შევამცირეთ მატარებლების მოძრაობ[illegible] და ის იყო რომ ის ექვსი სამარშრუტ[illegible] მატარებელი ბაქოში გავგზავნეთ და ყველა ეს მატარებელი დღეს საბჭოთა აზერბაიჯანის განკარგულებაშია!!

ქართული კლუბი

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ:

1

თანახმად წევრთა საგანგებო კრების დადგენილებისა გადიდებულ იქნა 1921 წლ. საწევრო გადასახადი

წევრთათვის 500 მანეთი

მუდმივ მოსიარულეთათვის 1000 მანეთი

ბილეთების გაცემა შეიძლება ყოველ-დღე კლუბის კანტორაში გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

2.

ორშაბათობით და პარასკეობით უფასო

კინემატოგრაფი

დანარჩენ დღეებში გაიმართება: კონცერტები, წარმოდგენები და ლექციები.

გიორგი ლეონიძე

იბეჭდება და 1-ლ იანვრისთვის გამოვა

ჭაშნიკი

მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა

რა საჭიროა იმის თქმა, რომ ეს აღმაშფოთებელი ძალმომრეობაა, რომ აქ დარღვეულია დადებული საერთაშორისო შეთანხმება! საბჭოთა აზერბაიჯანმა შელახა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, ჩვენი სახელმწიფოებრივი პრესტიჟი, ჩვენი სუვერენობა! უნდა ბოლო მოეღოს ჩვენს დამცირებას და გაქირდვას! ჩვენმა მთავრობამ უნდა მოითხოვს დაუყონებლივ ყველა მატარებლის გამოშვება და იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქართველოს მოუვიდა. და რაც უმთავრესია, რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მიიღოს საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობისაგან ისეთი ოფიციალური წერილობითი აქტი, რომელიც დაჰგმობს ამ ინციდენტს და დააკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას და სახელმწიფოებრივ სუვერენობას!

ზაქათლის ოლქის საკითხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ გაზეთებმა წერილები უძღვნეს საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას რუსეთისა და აზერბაიჯანის მიმართ ზაქათლის ოლქის მდგომარეობის შესახებ.

[illegible] აღნიშნავენ ზაქათლის ოლქის [illegible]ობას საქართველოსათვის; ,,აზე[illegible]ის გაუგებარ პრეტენზიებს ამ ოლქზე, ოლქის მცხოვრებლების კატეგორიულ სურვილს საქართველოს ფარგლებში შემოსვლისათვის და რუსეთის გადაუწყვეტლობას ზაქათლის ოლქის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ. [illegible] ეს იმას მაჩვენებელია, რომ ზაქათლის ოლქი დღემდის უნდა შემოგვერთებინა, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ოლქში ეხლაც რუს-აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები თარეშობენ. ვინ არის ამაში დამნაშავე და რატომ არ ისპობა ასეთი უსამართლობა?

ამავე „ახალი საქმის" მეთაურში შემდეგს ვკითხულობთ:

„ზაქათლის ოლქი ერთის მხრით საქართველოს ტერიტორიად ითვლება, ხოლო მეორე მხრით სადაოდაა გამოცხადებული. აქ შეიძლებოდა საკითხის იმ მეთოდით გადაწყვეტა, რომელიც ყველა სოციალისტისთვის მისაღებია—რეფერენდუმით. მაგრამ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, კომუნისტებმა ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამით თავიდანვე აღიარეს, რომ მათ ეშინიათ თვით ოლქის მცხოვრებთა მსჯავრისა. ეს კუთხე ეკონომიურად, გეოგრაფიულად და ისტორიულად ყოველთვის საქართველოსი იყო და არის დღესაც. ზაქათალას უსაქართველოდ ცხოვრება არ შეუძლია და მიუხედავად ამისა იგი ხელოვნურად დაუშორებიათ თავის დედა ქვეყნისათვის და სხვა და სხვა პერტურბაციას განაცდევინებენ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ზაქათალის ოლქის ბედი მალე გამოირკვეს.

გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აზერბაიჯანის და რუსეთის მთავრობა არღვევენ შეთანხმებას და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრული [illegible], აძლიერებენ თავიანთ ჯარს ამ კუთხეში, განაგებენ როგორც თავის ფუძე ტერიტორიას და ხალხს აწუხებენ. როგორც ვსთქვით, აქ საკამათო არა არის რა. რუსეთი განაგრძობს თავის ძველ პოლიტიკას და ალბათ იქნება ყოველთვის, ვიდრე ზაქათალის ოლქი თავის ბუნებრივ პატრონს, საქართველოს არ დაუბრუნდება.

როგორ უნდა მოხდეს ეს? როგორც ვიცით, ზაქათლის ოლქის საკითხი ერთნაირი არბიტრაჟით უნდა გადასწყდეს. ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე იქნება რუსეთი. ცხადია ყველასათვის, რომ აზერბაიჯანი რუსეთის ნაწილია და ეს უკანასკნელი თავის თავს არ აწყენინებს. „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არაფერი ერგოო"—ეს ხალხური ანდაზა უეჭველია ამ შემთხვევაში გამართლდება და არბიტრი მიუდგომლობას ვერ გამოიჩენს. და როდესაც ასეთი მდგომარეობაა, როდესაც ჩვენ ხელშეკრულებას შევუსრულებთ და კონტრაგენტი კი მის ასრულებისათვის თავს არ იტკიებს, პირიქით [illegible] არღვევს მას—ნება უნდა გვქონდეს ვიკითხოთ, რაშია საქმე? რად უნდა შევყურებდეთ გულგრილად ბრძოლით მოპოებულ ჩვენს უფლებათა დარღვევას? საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაისვას ეს საკითხი და ზაქათლის ოლქის ბედი საბოლოვოდ გადასწყდეს თანახმად რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების პირვანდელი ტექსტისა, ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისა—იგი უნდა შევიდეს, როგორც უდაო ნაწილი, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში."

ამავე საკითხის შესახებ ,,ერთობის'' მეთაურში დაბეჭდილია:

,,გადიკითხეთ გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილი ორი ნოტა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგისა და დარწმუნდებით, რამდენად მიუღებელი, რამდენად არა მეზობლური და ეჭვის აღმძვრელია საბჭოთა აზერბაიჯანის მოქმედება საქართველოს მიმართ. საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობა თითქოს სერიოზულად არ უყურებს საქართველოსთან დადებულს შეთანხმებას, თითქოს საჭიროთ არ მიაჩნია მისი პირნათლად შესრულება ხსენებულ ნოტებში აღნიშნულია კიდევ ერთი ამისი თვალსაჩინო ნიმუში: რა ხანია საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის შეიკრა ზავი, რომლის ერთი მუხლის ძალითაც ზაქათალაში არც ერთმა მხარემ არ უნდა გააძლიეროს სამხედრო ნაწილები. საქართველო პირნათლათ ასრულებს ამ პირობას. მაგრამ სამწუხაროდ აზერბაიჯანის მთავრობის მხრით სრულიად არ ვხედავთ ამ პირნათლობას. პირიქით იგი არავითარს ყურადღებას არ აქცევს დადებულს ხელშეკრულებას. იგი ზაქათალაში აძლიერებს ჯარებს, ახდენს კონფისკაციას, რეკვიზიციას, მცხოვრებთ ადებს კონტრიბუციებს და ქონებრივად აჩანაგებს მათ, არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ საბჭოთა რუსეთთან დადებულ 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად ზაქათალა საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდეს, ამიტომ არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ აზერბაიჯანის ჯარების მიერ ზაქათალის მოახლეობას აკლება საქართველოს მხრით იწვევს ენერგიულს პროტესტებს.

საერთო დასკვნა: აზერბაიჯანი არ იქცევა საქართველოს მიმართ ისე, როგორც ამას მოითხოვს კეთილმეზობლობა და მშვიდობის მოყვარეობა. იგი არ იქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვს კულტურული საერთაშორისო ურთიერთობა. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ საპროტესტო ნოტა აღნიშნულ გარემოების გამო მოსკოვის მთავრობასაც გაუგზავნა და ჩვენ სრული საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მოსკოვის მთავრობა სწორ გზას უჩვენებს თავის უმცროსს მოკავშირე რესპუბლიკას—აზერბაიჯანს''.

დეპეშები

ს. დ. ს. ს. ბ. ცნობები.

ერთა ლიგა

პარიზი. ,,ტანი'' ერთა ლიგის საერთო კრების შესახებ დაბეჭდილ წერილში სწერს: ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა ერთა ლიგის ყურადღება მიაქცია იმ სახელმწიფოთა მერყევ მდგომარეობას, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მეზობლად აღმოჩნდენ. ორატორი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგა დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს. ამავე საკითხის შესახებ ინგლისის წარმომადგენელმა ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა: საქართველოს მდგომარეობა ძლიერ წააგავს ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობას. ყველა ამ სახელმწიფოების ბედი ერთად უნდა გადასწყდეს. ეს სახელმწიფოები უნდა დაშვებულ იქნენ ერთა ლიგის შემადგენლობაში, მაგრამ არ მიეცეთ უფლება ერთა ლიგის დებულების მე-10 მუხლზე დამყარებისა. აღნიშნულ მოსაზრებათა თანახმად ლორდ სესილმა ახალ სახელმწიფოთა მიმღებ კომისიის სახელით შემდეგი ფორმულა წარადგინა: აღნიშნულ მოსაზრებისა და იმის გამო, რომ ზემოხსენებული სახელმწიფოები არიან პირდაპირი მეზობლები იმ ხალხისა, რომელიც ანარქიის მსხვერპლად შეიქნა და რომელიც ერთა ლიგის გავლენას გვერდს უხვევს, ერთა ლიგის საერთო კრება აცხადებს, რომ თავს ითავისუფლებს იმ ვალდებულებიდან, რომელსაც აკისრებს მას მათ მიმართ ერთა ლიგის მეათე მუხლი. ამ შენიშვნით საერთო კრება იღებს აღნიშნულ სახელმწიფოებს ერთა ლიგის შემადგენლობაში.

ევროპის ეკონომიური დამოკიდებულება საქართველოსთან

,,ტანი'' ბეჭდავს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრ კ. პ. კანდელაკთან საუბარს, სადაც ნათქვამია, რომ საქართ. დელეგაციამ დაჰყო ევროპაში 6 თვე და ამ ხნის განმავლობაში მჭიდრო კავშირი ჰქონდა ანტანტის სავაჭრო მრეწველო წრეებთან. დელეგაციას ყველგან თანაგრძნობით ხვდებოდნენ. დელეგაციას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების მერყევ მდგომარეობის და კერძოთ ბაქოში ბოლშევიკურ გადა[illegible]სა და სომხეთში ქემალისტების შეჭრის გამო. ხშირად ძვირფასი დროს კარგვა გვიხდებოდა იმის მოლოდინში, სანამ საზოგადოება საქმის ნამდვილ მდგომარეობას გაიგებდა. მაგრამ დელეგაციამ ყველა ეს სიძნელე გადალახა და მრავალი კონცესიური ხელშეკრულება დასდო საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის კაპიტალისტებთან. კ. კანდელაკმა განაცხადა, რომ საფრანგ. ხელშეკრულების თანახმად აბრეშუმის სინდიკატთან დადებულ დაარსებული საფრანგეთ საქართველოს საზოგადოებას იღებს მონოპოლიას საქართველოში აბრეშუმის თესლის შეტანისა და 25 წლ. განმავლობაში აბრეშუმის მრეწველობის ექსპლოატაციისა. საზოგადოების მიზანია აგრეთვე ტეხნიკური საწარმოო აპარატის გაუმჯობესება. კონცესიონერები ფიქრობენ, რომ აბრეშუმის წარმოება საქართველოში წლიურად 5 მილ. კილომდე აიყვანონ, რაიც ეხლანდელ კურსით 200 მილ. მეტი ფრანკის ღირებულებას უდრის. საფრანგეთი ამ გვარად მიიღებს აბრეშუმ ნედლს. ამას გარდა დადებულია მრავალი ხელშეკრულება საფრანგეთის სხვა მსხვილ ფირმებთანაც. შემდეგ კანდელაკმა აღნიშნა ის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო იტალიელებთან ტყვარჩელის ქვანახშირის მადაროების ექსპლოატაციის, ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკიდან სესხის აღებისა და სხვა. ,,მე ყოველთვის ვფიქრობდი'' სთქვა დასასრულ კანდელაკმა, რომ საქართველოს მომავალი დამოკიდებულია მოწინავე ქვეყნებთან უშუალო დამოკიდებულების დამყარებაზე. იმ მოლაპარაკებიდან, რომელიც მე ევროპაში ვაწარმოე დავრწმუნდი, რომ ამ დამოკიდებულებათა განვითარება არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის ამ მოკლე დროში, რადგან ევროპას ესაჭიროება ის ნედლი მასალა, რომლითაც ასე მდიდარია საქართველო.

გერმანული ცნობები

ზემო სილეზია

,,დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი'' მკითხველთა ყურადღებას გაზეთ ,,ამსტერდამ ტელეგრაფში'' მოთავსებულ წერილზე აქცევს, წერილი ამტკიცებს, რომ 1335 წლიდან დაწყებული ზემო სილეზია იმყოფებოდა გერმანიის მართველობის ქვეშ მაშინ, როდესაც პოლონეთის აგიტაცია ახლო წარსულში წარმოიშვა. უკანასკნელ წლებში მომხდარი არჩევნები ეროვნულ ყრილობაში უმეტესობას გერმანელებს აძლევდა, და ამ ეროვნულმა ყრილობამ ერთ სულოვანი პროტესტი განაცხადა ვერსალის კონფერენციის განზრახვის გადაცემის გამო ზემო-სილეზიის პოლონეთისათვის.

თანახმად ,,ჩიკაგო ტრაიბუნის'' ცნობისა პრეზიდენტ ჰარდინგს იმედი აქვს, რომ ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია იტალია მხარს დაუჭერენ მას ახალ ისეთ ერთა ლიგის შექმნაში, რომელიც იზრუნებს იმისათვის, რომ შეუძლებელი გახდეს შეტევითი, ან თავდაცვითი კავშირი ამ ხუთ უდიდეს მსოფლიო სახელმწიფოთა შორის.

დეშანელი.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი დეშანელი აყენებს თავის კანდიდატურას სენატში.

ამერიკა და გერმანია.

ამერიკის სენატორის მაკ-კორმიკის. გერმანიის სახელმწიფო პირებთან და ფინანსისტებთან თათბირის გამო, გერმანიის პრესა აცხადებს, რომ მაკ-კორმიკის მიერ შეკრებილი ცნობები დაარწმუნებს მას, რომ გერმანიის მოხსენებები მძიმე მდგომარეობის შესახებ, რაც არის ვერსალის ხელშეკრულების შედეგი, არ არის გადიდებული. პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ მაკ კორმიკი იქნება შუამავალი გერმანიასა და ამერიკას შორის მეგობრულ დამოკიდებულების აღდგენაში.

კარლ ლეგიენის სიკვდილი.

ცნობილ სოციალ დემოკრატის კარლ ლეგიენის უეცარ სიკვდილს დასტირის არა მარტო მისი ამხანაგები. კარლ ლეგიენი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გერმანიის პროფ. კავშირებს. პრესა აღნიშნავს მის დიდ ორგანიზაციულ ნიჭს, გერმანიის პრეზიდენტმა თანაგრძნობა გამოუცხადა პროფ. კავშირებს.

ბელგია და გერმანია.

ბელგიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა პალატაში, რომ ბელგიამ გერმანიისაგან ანაზღაურების ხარჯის ანგარიშში 5.6000 მილიონზე მეტი ფრანკი მიიღო: 2.6000 მილიონი მიიღო მანქანებისა და ნედლის მასალის სახით და 2.000 მილიონი ფრანკი ქვა ნახშირის, ქიმიურ და სხ. პროდუქტების სახით.

სასურსათო მინისტრი ჰერმესი გაზეთ ,,ბერლინერ ტაგებლატში'' აღნიშნავს რძის ნაკლულევანებას განსაკუთრებით რეინისა, ვესტფალიისა და ზემო სილეზიის სამრეწველო ოლქებში, სადაც დედებიც კი ვერ იღებენ საკმაო რძეს, რაც ტუბერკულიოზის გავრცელებაზე გავლენას ახდენს.

ფრანგული ცნობები.

ელჩთა კონფერენცია

ელჩთა კონფერენციის დადგენილების გამო შეეკითხონ მოკავშირეთა მთავრობებს გერმანიის განიარაღების შესახებ. ,,პტი პარიზიენი'' აღნიშნავს, რომ ამ განიარაღებას მოაწერეს ხელი მოკავშირეთა მთავრობების წარმომადგენლებმა და აგრეთვე კანცლერმა და რაიხსტაგის უფროსმა ფონ-ზუკტმა, მთავრობის იმავე წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გერმანიამ მოიყვანოს სისრულეში მიღებული ვალდებულებანი, დასასრულ ,,პტი-პარიზიენი'' აღნიშნავს, რომ პირობების აღსრულების უზრუნველყოფა წინ დახედული იყო რურისა, ან გერმანიის სხვა ტერიტორიის ოკუპაციის სახით. გაზეთი ,,გოლუა'' აღნიშნავს, რომ გერმანიას უნდა მოიგოს დრო, მეორეს მხრით ბავარიის საბჭოს თავმჯდომარეს ფონ-კარს ნოემბრის ბოლოში ჰქონდა თათბირი ლონდონში პრეზიდენტთან, საიმპერიო კანცლერთან და დრ სიმონსთან ბერლინში ყოფნის დროს ფონ კარმა ინახულა გენ. ნოლლე და ინგლისის ელჩი და იმპერიის მთავრობასთან შეთანხმებით ცდილობდა საკითხის ჩაფუშვას,

ლიონის ცნობები·

ფიუმეს ამბები.

თანახმად მიღებული ცნობებისა ფიუმეს ახლო ბრძოლა სწარმოებს. საზღვაო ხომალდებიდან გაისროლეს რამოდენიმე ყუმბარა, რომელთაგანაც ერთი მოხვდა სასახლეს. დაიჭრა დანუნციო

საფრანგეთი და ლატვია.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ლატვიშთა დელეგატი კრისვალი, რომელიც საფრანგეთის მთავრობასთან არის დანიშნული ლატვიის მთავრობის სახელით ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს იმ დახმარებისათვის, რომელიც საფრანგეთმა ლატვიას გაუწია პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ლატვიას ყოველთვის შეუძლია იმედი იქონიოს საფრანგეთის თანაგრძნობისა.

გერმანია და მოკავშირენი.

პარიზი 28 დეკ. მოკავშირეებმა უნდა გადასწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, რომ გერმანიამ არ აღასრულა განიარაღების შესახებ დადებული პირობანი. სპას კონფერენციაზე გერმანიის მინისტრებმა პირობა დასდვეს, რომ დაუყონებლივ განაიარაღებდენ სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებს. მოკავშირეებმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ამ პირობას არ შეასრულებს 1921 იანვრის 1 თვის, დაიკავებენ მისი ტერიტორიის კიდევ ერთს ნაწილს, მაგრამ მიუხედავათ ამისა თავდაცვის ორგანიზაციები ბავარიასა და აღმ. პრუსიაში ჯერაც არ არის დაშლილი. სახელმ. თავდაცვის მინისტრმა გესლერმა განაცხადა: ამ ჟამად შეუძლებელია ამ ორგანიზაციების დაშლა, რადგანაც მოსალოდნელია ბავარიაში არეულობის მოხდენა და აღმ. პრუსიის წინააღმდეგ ბოლშევიკების შემოტევა.

— ერთა კონფერენციამ მიმართა თხოვნით მარშალ ფოშს, რომ მან შეადგინოს მოხსენება განიარაღების საკითხზე და შემდეგ იგი მოკავშირეთა მთავრობებს გადასცეს. მოსალოდნელია რომ ამ მოკლე ხანში მოხდეს თათბირი საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის პრემიერთა გერმანიის მიერ დაკავებულ პოზიციის შედეგების გამოსარკვევათ.

რუსეთის ცნობები

ტრანსპორტი წყლით·

ტროცკიმ წყალზე ტრანსპორტის შესახებ სთქვა: მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს იგი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე რკინის გზა. ომამდე წყლით გადაქონდათ 2200 მილიარდი ფუთი, რკინის გზით კი 2700 მილიარდი ფუთი. წარსულიდგან ჩვენ მივიღეთ წყლით ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის 40-50 პროც. მაგრამ არ [illegible] ამ ტრანსპორტის სარგებლობისათვის საჭირო გამოცდილება.

წითელი დროშის შრომის ორდენი

მთავარ სამხედრო ოპერაციების დასრულებისა და ჯარის ნაწილობრივ დემობილიზაციის დაწყების შემდეგ, როდესაც შესაძლებელია, რომ რესპუბლიკის მთავარი საშუალება მოხმარდეს სამეურნეო საქმეებს, საბჭოთა მე 8 ყრილობა მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ჩაებან, მრეწველობის, ტრანსპორტის და სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში. რათა მთელი რესპუბლიკის წინაშე განსხვავებულ იქნენ ის მშრომელი წრეები და მოქალაქენი, რომელთაც გამოიჩინეს განსაკუთრებული თავდადება, ინიციატივა, და შრომის მიყვარეობა, საბჭოთა მე 8 ყრილობამ დაადგინა შემოიღოს წითელი დროშის შრომის ორდენი.

საბჭოთა მე 8 ყრილობამ დეკ. 28 სხდომაზედ ერთად დაადგინა მთელი რესპუბლიკის ორგანოების ყურადღება მიაქციოს ნახშირის და სავა ლითონების დამუშავების საქმის გაძლიერებას, [illegible] იქნეს ლითონითა და სათბობი მასალით. კერძოთ დონის ოლქის შესახებ საბჭოთ დაადგინა, რომ 1921 წ. ის განმავლობაში გამოღებულ იქნას არა ნაკლებ 600 მილიონი ფუთი ნახშირისა დამუშავდეს და 25 მილ. თუჯი. საბჭოთა ყრილობამ მიმართა უმაღლეს ორგანოებს, რათა მათ მიიღონ ზომები იმ მუშათა შრომის პირობების დასაცავათ, რომლებიც აქ მუშაობენ. გაგზავნა დონსა და ურალში ტეხნიკური მასალები და იარაღები. ამ რაიონში უნდა მოეწყოს მუშათა სადგომები, და უნდა უზრუნველყონ მუშები სანოვაგით.

ზინოვიევის მოხსენება საბჭოთა ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ.

ამდენ ხანს ჩვენ ვლაპარაკობდით, დაიწყო ზინოვიევმა, იმის შესახებ, თუ რა ვაკეთეთ. ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვაკეთოთ სახელმწიფო საქმეები, როგორ უნდა გადავაკეთოთ ჩვენი წყობანი, რომ შევასრულოთ ჩვენი მიზნები. 3 წლის განმავლობაში ბრძოლის დროს, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა რუსეთი, შეფერხდა საბჭოების მოქმედება. 3 წელი ვიბრძოლეთ არსებობისათვის. საუკეთესო ძალები ფრონტზე გავწვიეთ. ამის გამო გა[illegible] ჩვენი წყობანი ეს არის მიზეზი საბჭოთა მუშაობის შესუსტებისა.

საბჭოთა რუსეთის ისტორიის სამი პერიოდი.

დასაწყისი როდესაც პროლეტარიატმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება. საბჭოები წარმოადგენდენ მებრძოლ ორგანიზაციებს.

მეორე ხანა დასრულდა ვრანგელის დამარცხებით. ეს ხანაა ქალაქისა და სოფლების [illegible] ები. ყოველგან ვხედავდი მუშაობას საბჭოთა საქმეობას

ეს დრო თხოულობდა ენერგ ებსა და ჩვენ იძულებული ვიყავ ებით და ვე ტოვებია დემოკ ცენტრალიზმ, ჩვენ ჩვენმა ურიცხვი მტრებზე გამარჯვ ჭიროა ერთი სრულუფლებიანი

ჩვენ თანახმა ვიყავით 5 წლის მოზადებაც კი წავსულიყავით, ული ჯარის გმირული ბრძოლ გვეფერხებინა. [illegible] მუშები და გლეხები საბჭოთა უფლებით დასაცავად. მათ ანდევნენ ბუნება ზიან და სოციალისტური მეურნეობა.—ამ საბჭოები წარმოადგენენ იმ რომელმაც უნდა მოახდინოს და ქალაქების მობილიზაცია ბის საჭიროებისათვის!—ჩვენი მენშევიკები და სოც. გამცემლებ ვან გარეთ ხმებს ავრცელებენ, გამ ქვეყნული ვართ ბიუროკრა

რ. ს. ფ. ს. რ. საქართვე მეოფ სრულ უფლებიან წ მადგენელთან არსებულ დითი ბიუროს ბიულეტენ

ინდოელების დელეგაცია გორაში.

ტრაპიზონი. 20 დეკემბერი. ან მოვიდა ინდოეთში მომქმედ სა მტობის წარმომადგენელი მ საფასი. მან თავის ხალხის სა მური სალამი უძღვნა ოსმალებს, მელნიც მათთან ერთად არიან ის წინააღმდეგ და ქემალს ინ დან მოტანილი დიდი თანხა დაცა

რკინის გზის ახალი პრო ბაქოში.

ბაქო. აღერბეჯანის საბჭოთა ურნეო კომისიამ შეიმუშავა პრ მტკვრის გაღმა რკინის გზის ნის შესახებ.

საქართველოში მეოფ ლეთის დიდ ეროვნული ლობის სრულ უფლებიან მომადგენელისგან.

იმ უკანასკნელ დროს გაზეთმა ,, [illegible] ოლისათვისაც დიდი ცია დაიწყო ოსმალეთისა, ოსმა პოლიტიკისა და საბჭოთა რუ წინააღმდეგ და კარნი [illegible] და შე ქართველთა და ოსმალეთის მეზობლურ ურთიერთობასაც კი.

მე განმცხადება ამ გაზეთის პრ კაციულმა განცხადებამ, ვითომც მალები ჯარს აგროვებენ საქართველოს სამზღვრებთან, და აზრათა ჰქონ ახლო მომავალში საქართველოზე დასხმა და ვითომც ოსმალები პრ განდას ეწეოდენ ომხეთ-ს ასაჯ ლად საქართველოს რესპუბლიკის აღმდეგ.

ა. ს. ს. საქართველოში მე დიპლომატიურ წარმომადგე ლთან არსებულ ბეჭდითი ბ როს ბიულეტენიდან.

მთავრობის შემადგენლობა

ერევანი. 24 დეკემბერი. თავმჯ მარე [illegible]—კასიანი, კომ რი გარეშე საქმეთა—ბეკზადიანი, სახ ხო კომისარი იუსტიციისა, ბეჭვდ საქმისა და აგიტაციისა—ბოლდანი შრომის კომისარი—ვისკანიანი, სახა ხო კომის. კავშ.—კოსტანიანი გან ლების კომისარი—იონისიანი, სამხედ საქმეთა—ნურიჯანიანი.

მემარცხენე დაშნაკელთა პა ტიის ლიკვიდაცია.

ერევანი. 24 დეკემბერი. მემარცხ დაშნაკელთა საბჭომ, მიიღო რა ხედ ველობაში, რომ მათსა და კომუნის ტებს შორის არ არის პრინციპიალ განსხვავება, დაადგინა გააუქმოს მემარ ცხენე დაშნაკელ-ინტერნაციონალ ტების პარტია.

ქრონიკა

სამინისტროებში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქალ. ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს.

დამატებით ამა წლის 14 ოქტომბრის № 22732 ცირკულიარულ მიმართვისა დაჭრილ დასახიჩრებულთათვის დახმარების ახალი ნომრებით გაცემის შესახებ, კანცელარია გატყობინებთ, რომ აღნიშნული ცირკულიარით იცვლება არა მარტო 8 ივნისის № 11520 არამედ აგრეთვე უკანასკნელი 23 ივნისის № 13197 ცირკულიარიც. ამასთანავე კანცელარია დასძენს, რომ გადიდებული ნომრებით დახმარება უნდა გაეცეს ამა წლის 1- ეკენისთვიდან.

— ზუგდიდში. შინაგან საქმეთა ნისტრომ ზუგდიდის საერობო ერობ გან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მიღებულ ზომების გამო ყაჩაღებმა ზარიამ და აბსინაძემ მორჩილება გან ცხადესო.

— მიწად მოქმედების სამინისტრო ში.

— შაქრის ქარხანა. შავი ქვის მრ წველთა სააქციონერო საზოგადოება აღძრა შუამდგომლობა მიწად მოქმედე ბის სამინისტროს წინაშე მის გამგე ლობაში იჯარით 3—5 ათას დესეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის გადაცემის შესახებ. საზოგადოებას შაქრის ქარხნის აგება და ბორჩალოს მაზრაში ჭარხლის დათესვა აქვს განზრახული. შუამდგომლობა დასკვნისათვის სახელმწიფო მამულების განყოფილებას გადაეცა.

— შეშის დამზადება. მიწად მოქმედების სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა 2 ტყის მრეწველობისაგან ლეჩხუმის მაზრაში 2000 საჟ. შეშის დამზადების ნებართვის მიცემის შესახებ. განზრახულია ამ შეშის ქუთაისში არსებულ მუშათა მაგიდის განკარგულებისათვის გადაცემა.

— სწავლა განათლების გავრცელება დატუსაღებულთა შორის. დამფუძნებელი კრების იურიდიულმა კომისიამ განიხილა იუსტიციის სამინისტროსგან გადმოცემული პროექტი კანონისა დატუსაღებულთა შორის სწავლა განათლების განვითარების შესახებ. პროექტი დასკვნისათვის სახალხო განათლების კომისიას გადაეცა.

— ფინანსთა სამინისტროში. დეკემბრის 26, ს. ავალიანის თავმჯდომარეობით ფინანსთა სამინისტროში შესდგა თათბირი წვრილი კრედიტის შესახებ. თათბირს დაესწრნენ საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები სპეციალისტები წვრილი კრედიტის საკითხში. საკითხის ვრცელ განხილვის შემდეგ ყრილობამ დაადგინა დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ ოთხი ორგანიზაციის წარმომადგენელი: საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების კავშირისა, საქართ. კოოპერატიულ ბანკიდან, „მწყემსის“ კოოპერატიულ საზოგადოებისა, და ახლად დაარსებული სასოფლო სამეურნეო პალატისა. კომისიას მიენდო ამასთანავე მოიწვიოს კოოპერაციის ის პირები, რომლებიც წვრილი კრედიტის მცოდნეთ ითვლებიან.

სხვა და სხვა

— მთავრობა მოკლე ხანში აპირებს საზღვარ გარეთ გაგზავნილ ტეხნიკოსთა და სხვათა უკან დაბრუნებას, რადგანაც მათი იქ შენახვა ცოდნის შესაძენად ფრიად ძვირად უჯდება მთავრობას. თბ. სახელმწ. უნივ—ტიც უსახსრობის გამო იძულებული ხდება ვადაზე ადრე გამოიწვიოს სამეცნიერო მიზნით გაგზავნილნი უცხოეთში.

— პარასკევს, 31 დეკემბერს, ქართველ-სომეხთა ომის გათავების ორი წლის თავზე, თბილისის სამხედრო წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის თავდადებულ მებრძოლთა მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდება ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დავითი ადგილობრივ კრებულითურთ. წირვა დაიწყება დილის თერთმეტის ნახევარ საათზე.

— საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ფარმ. მაგ. ივ. ტყეშელაშვილი.

— მთავრობის სამმართველოს განცხადება. მთავრობის საქმეთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იღებს კერძო პირთ ორშაბათობით და ხუთშაბათობით 11—12 საათამდე. პროვინციიდან ჩამოსულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენელთ იღებს ამავე დღეებში და დროს, ხოლო სასწრაფო საქმეებზე ყოველ დღე რიგს გარეშე.

— გამოვიდა და იყიდება ერობათა კავშირის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 24) პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალი საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად) შემუშავებული დამფუძნებელი კრების თვითმართველობის კომისიის მიერ.

— ბაქოში დახვრეტილი ქართველები. საქართველოს საგარეო საქმეთა საინფორმაციო ბიუროსაგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ბაქოში დახვრეტილიათ შემდეგი ქართველი მოქალაქენი: ბიქტორ მირიანის ძე პლავსკი, პეტრე ადამის ძე საყვარელიძე, ირაკლი დიმიტრის ძე ჯომელაური, შალვა ივანეს ძე ხვიჩია, კონსტანტინე ლუკას ძე ქუთათელაძე, ანდრია ვარლამის ძე ჩხეიძე, რუბენ სარქისის ძე ზახაროვი, გრიგოლ მაქსიმეს ძე დოლიძე, შალვა ანტონის ძე ლოლობერიძე. და ალექსანდრე თურქძე, მიხეილ სიმონის ძე ძიძიგური შესახებ ცნობები არ მოსულა. პოლკოვნიკი ილია კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე ხოლმოგორის საკონცენტრაციო ბანაკში გაუგზავნიათ.

დეპუტატის შეუვალობის საკითხი დამფუძნებელ კრებაში

კ. ნინიძის სიტყვა.

ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! სოც. დემ. პარტიის დასახელებით და ხალხის არჩევით მაქვს პატივი 2 ნახ. წელზე მეტი ვყოფილიყავი საკანონმდებლო დაწესებულებაში და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ მქონია უბედურება გამოვსულიყავი კერძოდ არა ფრაქციის დავალებით და თუ ეხლა ამ უბედურებაში ვარ ჩაყენებული, ეს მაძლევს ზნეობრივ უფლებას ვთხოვო დამფუძნებელ კრებას გულდასმით და დინჯათ მომისმინოთ. (ხმები: გთხოვთ, გთხოვთ) მე გულწრფელად მეგონა, რომ მთავრობა როგორც ორგანო კოლექტიური როგორც ასეთი, ამ საქმეში არაფერ შუაში იყო, მე დღესაც მგონია ეს, მაგრამ ის განმარტება, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის პირით, იძლევა ისეთ გაშუქებას, რომ მე ჩემ მოვალეობად მიმაჩნია მოვახსენო დამფუძნებელ კრებას თუ ვინ არის დამნაშავე ამ საქმეში.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მეტად გაამარტივა საკითხი, მას ჰგონია, რადგანაც მთავრობას აღებული ქონდა ბინა თავის აღრიცხვაზე, ამიტომ ეს ბინა კანონიერად იმყოფებოდა მთავრობის განკარგულებაში. მე მოგახსენებთ კანონზე და არა იმ შემეცნებაზე, რომელიც აქ წარმოადგინა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ. იმდენად უსუსური და სუსტი არის ეს შეგნება, რომ ბატონი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე აქ აცხადებს იმ საწყალ ფაქტზე, რომ სახლის პატრონი თხოულობდა დევსახლდეო. მას არ ესმის, რომ, როდესაც მოქალაქე ჩაყენებული არის ისეთ პირობებში, რომ უხდება მას თუ იმ შუამდგომლობის აღძვრა თავის ბინაში დასახლების შესახებ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ჰგონია, რომ ეს კანონი არის (ერიძე: ფაქტი არის). მოგახსენებთ ფაქტზედაც. მთავრობის თავმჯდ. მოადგილეს ჰგონია, რომ ყველაფერი ის, რასაც შიშის ქვეშ ცხადებს მოქალაქე, ეს არის სინამდვილე, ამით აიხსნება ის წყალ წაღებული და დაუშვებელი მოქმედება, რომელიც ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა ჩაიდინა. იცით რა ქნა ჩხიკვიშვილმა? (ხმაურობა; ჩხიკვიშვილი: რა ვქნი?) იქონიეთ მოთმინება და მოგახსენებთ. თქვენ ნუ გგონიათ რომ ასე ადვილად დააძვრენ თავს (ჯუღელი იცინის). ბატონო ჯუღელო! კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. (ჯუღელი: რატომ გადადი იმ ბინაზე, კარგ ბინას ეძებდი არა?)

რატომ გადავედი ამაზე მოგახსენებთ, მაგრამ ვინც კარგად ბინებს ეძებს, ისიც ვიცით ჩვენ. ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ, ახლა კი მინდა უფლებრივ საკითხზე ვილაპარაკო.

იცით თუ არა, რომ სამშაბათს, იმის მაგივრად რომ გაეყვანათ ის მილიციონერები, რომელიც ჩემს ოთახს კარებით იყვნენ ჩასაფრებულნი და მთელი ღამე მღეროდნენ. დაატყვევეს მოხუცი, სახლის პატრონის ლეკრიანის მეუღლე, (სხვათა შორის იცის შინაგან საქმეთა მინისტრმაც) მე ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მივიჩნიე გავყოლოდი ამ მოხუცს და იცით თქვენ, შეიარაღებული კაცი მიყვებოდა ამ მოხუცს, გზაში კი დავაც შემომხვდა დამფუძნებელ კრების წევრი იოსებ მაჭავარიანი, რომელსაც მე დატუსაღებული ვეგონე, და როდესაც ჩვენ მივედით საგანგებო რაზმში, მე წერილობითი განცხადება გაუგზავნე რამიშვილს კედიას ხელით. მე ვწერდი, თუ ვინმე დამნაშავე არის ამ საკითხში, დამნაშავე ვარ მე და თუ გგონიათ, რომ მეეფარები დეპუტატის შეუვალობას, დავტოვებ დეპუტატობას და მიმეცით პასუხისგებაში, თუ არა და რას ერჩით ამ საწყალ დედაკაცს და ვთხოვდი, რომ ის დედაკაცი გაშვებული ყოფილიყო.

(ჯუღელი იცინის) თქვენ გეცინებათ, ბატონო ჯუღელო, რადგან დედაკაცის დატყვევებაში არაფერს ხედავთ, მე ხშირად ვყოფილვარ ციხეში, ჟანდარმების ხელში, მაგრამ არ მახსოვს ყოველ შემთხვევაში, რომ დედაკაცს ასე მოპყრობოდნენ, ციხეში ჩაეგდოთ მარტო იმისათვის, რომ გაეგოთ თუ რა წესით დავიჭირე ბინა. ეს სამარცხვინო არის დემოკრატიისათვის, როდესაც მიყავთ განუკითხავად... მე მოგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ძველ წყობილების დროს დედაკაცს ქუჩაში იჭერდნენ მხოლოდ, ეგრედ წოდებულ ცუდი ყოფაქცევისათვის ან სიმთვრალისათვის. აქ კი რისთვის იჭერთ დედაკაცს, რა დანაშაულობისათვის მიყავთ ეს დედაკაცი. და აი მე გული ამეწვა, როდესაც ვიფიქრე, რომ ამ საგანგებო რაზმს სურს ჩემი დატუსაღება, მაგრამ ის ვერ გადავხედე იმდენად, რომ ეს ჩაედინა. მაშინ მე ვიგრძენ, რომ მე ვარ შეუვალი, როგორც დეპუტატი. მაგრამ რისთვის დაატუსაღეს ის ქალი? იქნებ ვინმემ სთქვას, რომ სამაგიეროდ გადაუხადესო, მაგრამ რა დააშავა?

(ჯუღელი: მოატყუილეთ) მე არ ვარ ჩვეული მოტყუილებას, და ვინც მე მიცნობს, ამას დამიმოწმებს (ტაში).

(ჯუღელის რეპლიკაა—არ ისმის) ბატონო ჯუღელო, მე ისე არ გადავდივარ ერთ პარტიიდან მეორეში, როგორც თქვენ გადადიხართ (ტაში).

(ჯუღელი: გვახსოვს რეაქციის დროს ამხანაგს სახლში არ უშვებდი).

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველის, ამის თქმის უფლება არ გაქვთ თქვენ, ჯუღელო!

იმის შემდეგ, რაც ეს დედაკაცი დააშინეს, მთელი ოჯახი ტერორის ქვეშ დააყენეს, დაკითხვას ახდენდნენ, რის შემდეგ ჩხიკვიშვილი ტელეფონით უძახის, დატუსაღება არ შეიძლება, რადგან ასეთი ჩვენება მოგვცაო და იცით რა ჩვენება იყო ეს ჩვენება? ეს ის სამარცხვინო ჩვენება იყო, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გამოაქვეყნა; რომლიდან სჩანს, ვითომ მე 10 წლის ბავშვს ამოვტყუე გასაღები.

მე მაქვს ქაღალდი, რომელიც დაწერილი იყო არა ძალდატანებით არა დაჭერის შიშის ქვეშ. როდესაც ადამიანი დაჭერილია და ასეთ პირობებში დაკითხვას ახდენენ, შეუძლებელია მან სიმართლე სთქვას და უნდა ცხვენოდეს იმას, ვინც სარგებლობს ასეთი დაკითხვით. ბატონო ჩხიკვიშვილო, უნდა იცოდეთ, რომ როდესაც კაცი არ არის გმირი და როდესაც მას დაჭერის ეშინიან, მაშინ ის ვერ მოგვცემთ სწორ ჩვენებას. განა ბ-ნო, ჩხიკვიშვილო იმისთვის იარეთ კატორღებში, რომ ვერ ისწავლეთ, რომ როდესაც კაცს იჭერენ არ ვარგა მისი დაკითხვა, ეს თქვენ ვერ შეიგნეთ და მე ვამბობ თქვენ ტყუილად იარეთ კატორღაში, რადგან თქვენ მის ღირსი არ ყოფილხართ. და აი რადგან ასეთ პირობებში მოხდა დაკითხვა, დაჭერის შიშის ქვეშ, მე გავკადნიერდი და იქვე შევიტანე ბ-ნ ჩხიკვიშვილს კეთილ სინდისიერებაში, მე ვწუხდი როცა ასე ვფიქრობდი, მაგრამ მე ხელთ მქონდა მეორე ფაქტი, რომ ჩხიკვიშვილის ბრძანებით გაჩხრიკეს ბინა დავითის შესახვევში, იქ იყო გაგზავნილი 2 აგენტი და ალბად თქვენ გინდოდათ დაგემტკიცებიათ, რომ ის ჩემი ბინა არ იყო, და აი მე მინდა სწორედ აღვნიშნო ის სამარცხვინო როლი, რომელიც დედაქ. თავმა ითამაშა ამ საქმეში. უბრალო ოჯახის კაცმა იცის, რომ როცა ერთ ბინას სცლი და მეორეში გადადიხარ, არც სავალდებულოა და არც მოსახერხებელი, რომ ყველა ბარგი ერთ დღეს გადიტანო. ამიტომ მე ზოგიერთი ბარგი არ მქონდა კიდევ გადმოტანილი დავითის შესახვევიდან, და როცა უნდათ დაამტკიცონ, რომ ის ბინა (განოვ. ქ.) ჩემი არ იყო, იმით, რომ მთლიანად არ მქონდა გადატანილი ბარგი, ეს არის საწყალი მოსაზრება, რომელიც იურიდიულ გამოსავალს არ იძლევა. როცა ასეთ საწყალ საბუთს ეძებდნენ ჩემს წინააღმდეგ, ცხადია სხვა საბუთი არ არის. მე კიდევაც განუცხადე ჩხიკვიშვილს, მე ჯერ ბარგი სულ არ გადამიტანია, მალე გადავიტან, ბინა დაიცლება და იმ ბინას თქვენ აიღებთ აღრიცხვაზე, თუ დაუთმო სახლის პატრონს, რომელსაც უთანხმოება აქვს მდგმურთან? და ამისთანა განცხადების შემდეგ, ერთ დღეს როდესაც მე სახლიდან გამოველი, შემხვდა ერთი სქელი კაცი, რომელიც როგორც შემდეგ გავიგე, მოსამსახურე ყოფილა ქალაქის საბინაო განყოფილებაში, ვგონებ გვარად ვარდოსანიძე, მე ის დავინახე, მაგრამ სრულიადაც არ მეგონა, რომ ის ჩემთან მოდიოდა; როცა სახლში დავბრუნდი პატარა გოგომ, რომელიც მოსამსახურედ ჰყავს, ამიწერა შემდეგი სურათი: მოვიდა ერთი სქელი კაცი და ერთიც სხვა, შევიდნენ ოთახში და ასწერეს სულყველაფერი, წარმოიდგინეთ წიგნებიც, და ფქვილი, რომელიც ჩამოტანილი მქონდა სოფლიდან. მე გამიკვირდა რა საჭირო იყო ამ ნივთების აწერა და ამიტომ მე სოც.-დემ. ფრაქციას მივართვი განცხადება, რომელშიც ვწერდი, რომ ეს მიმაჩნია ბინის გაჩხრეკად და საჭირო არის გამოძიება, იმის თუ ვინ ახდენს ამ საქმეს. შემდეგ მე გავიგე, რომ ეს ჩხიკვიშვილს მოუხდენია, რისთვის? ბატონო ჩხიკვიშვილო, თქვენ ქალაქის თავი ბრძანდებით და ვალდებული ხართ იმდენი იცოდეთ, რომ თუ გინდათ ბინის აღრიცხვაზე აღება, არ არის საჭირო ნივთების აწერა. უნდა იყოს უბრალო რიგიანი ადამიანი... (ნოე ხომერიკი: თქვენ რიგიანი ხართ?) თქვენ რიგიანობაზე ლაპარაკს თავი დაანებეთ ბატონო ხომერიკო! თუ ჩხიკვიშვილს უნდოდა გაეგო სად იყო ჩემი ბინა, განა მე ამას ვმალავდი (ჩხიკვიშვილი: არ ვიცოდი თუ შენი ბინა იყო, უნდა დაიჯერო კაცო, რავქნა ხატზე დავიფიცო?) მე რომ ხატი მწამდეს დაგიჯერებდით, მაგრამ მე მწამს პატიოსნება და პირდაპირობა, რომელიც თქვენ არ გამოგიჩენიათ. თქვენ ბრძანდებით ის ჩხიკვიშვილი, რომელსაც რამდენჯერმე გთხოვეთ მე და პავლე საყვარელიძემ შეგვედგინათ ოქმი საგანგებო რაზმის მოქმედებაზე, რაზედაც თქვენ განაცხადეთ, მე ოქმის შემდგენი არ ვარო. სამაგიეროდ თქვენ ხელმძღვანელობდით იმ სამარცხვინო საქმის შედგენას, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გამოაქვეყნა და რომლის შედგენის შემდეგ თქვენ დაუძახეთ ტელეფონით: „დაჭერა აღარ შეიძლება, ასეთი ჩვენება მოგვცესო“. (ჩხიკვიშვილის რეპლიკა არ ისმის) მოგახსენებთ რის დამტკიცებაც გინდათ; თქვენ მთავრობის აგენტმა ერთი მოვალეობა აგკიდათ, იურისტობა დაგაკისრათ, თქვენ უნდა დაგემტკიცებიათ, რომ ჩემ ბინად არ ჩაითვლებოდა ის ბინა, სადაც მე არ მქონდა მთელი ბარგი გადატანილი და ამ მიზნით გამოგზავნეთ ჩემთან 2 კაცი, ამისვე დასამტკიცებლად მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გულუბრყვილოდ განაცხადა რომ განოვის ქუჩაზე მხოლოდ 2—3 კალათა იდო ნინიძესიო. ეს არ არის მართალი. ამას დაამოწმებს ადმინისტრაციის ინსპექტორი ქარცივაძე, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და რომლის აგენტები, თუ გინახავთ პროჟექტორში, სწორედ ისე გადიოდნენ ბოძებზე, წყლის სადენ მილებზე და შემდეგ ფანჯრიდან შევიდნენ ჩემ ბინაში, იქ იყვნენ მხოლოდ 2 შვილი ჩემი, ერთი ავადმყოფი. როცა ეს აგენტები შეცვივდნენ ჩემ ბინაში, შეშინებული შვილი—გიმნაზიელი გამოიქცა აქ დამფუძნებელ კრებაში ჩემთან და მიამბო მომხდარი ამბავი. აქედან რომ წაველი აღელვებული ჩემ ბინაზე, ცოტა ხნის შემდეგ იქვე მოვიდა ჩხიკვიშვილი, რომელმაც იქ კალათი კი არ ნახა, არამედ ბავშვი, რომელსაც სისხლს აღებინებდა, 14 წლის ბავშვი, რომელიც იქ სცხოვრობდა. არ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ ბინის გულისთვის კამათზე დამეწვინა ავადმყოფი ბავშვი სამი დღის განმავლობაში. (ვ. ჯუღელი: ზამთარში ავადმყოფ ბავშს კარგი მამა არ გადაიყვანდა) კ. ნინიძე: არა ბ-ნო ჯუღელო, კარგი მამა რას იზამს—ეს მე უკეთ ვიცი, მაგრამ მე იძულებული ვიყავი გადამეყვანა ბავშვი ძველ ბინაზე—მე მაიძულეს. მე არ მქონდა საშუალება დავქირავებოდი საგანგებო რაზმს, და თქვენი ლოღიკა იმაშია, რომ თუ არ გაქვს ღონე, მკლავი, არ უნდა დაიცვა შენი უფლება.

ამ შემეცნებას მე ვებრძოდი მუდამ. სხვა შემეცნება სპარსული შემეცნებაა: თუ ბევრი მხლებელი ჰყავს, თუ ოსმალეთის ფაშა ხარ, ან მინისტრი ხარ, მაშინ მომხრეები ბევრი გყავს, უნდა გაბედო და იბრუნო ბინაზე. თუ ასეთები არა გყავს მაშინ უნდა გაჩერდე. ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ რაკი ამას შეეხეთ და ინებეთ ლაპარაკი, მე უნდა მოგახსენოთ, რომ ხარბი არა ვარ, არც ბინებზე ვარ დახარბებული. ბინის შოვნა მინდოდა და არ მინდოდა სხვისი ოჯახის შეწუხება, როგორც ამას დაჩვეულია ბ-ნი ჩხიკვიშვილი; იმან არა ერთი ოჯახი გამოყარა და აატირა, რომ სხვისთვის მიეცა ბინა, მაგრამ მე მაქვს იმდენი შეგნება, რომ ამას არ ვიზამდი. (ჯუღელის რეპლიკა არ ისმის) დიახ ბ-ნო ვ. ჯუღელო, თქვენ ნუ გგონიათ, რომ თუ არ დავეთანხმე შეგნება არ მაქვს.

(ჯუღელი: ვინმეს თუ აწიოკებდა მტარვალი ჩხიკვიშვილი, დეპუტატო რატომ არ ამოიღე ხმა). დამფუძნებელი კრების წინაშე ვაცხადებ, რომ არავითარი სურვილი არასოდეს არ მქონია დიდი და კარგი ბინა დამეჭირა. საქმე მდგომარეობს შემდეგში: მე ფუნიკულიორის ძირში ვცხოვრობ, თავის-თავად ცხადია ბინა მაქვს, ვერ ვიცხოვრებდი ქუჩაში ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მე მყავს ავადმყოფი ბავშვი, რომელსაც სისხლი რომ ამოუვარდება, არ მაქვს საშუალება ექიმი მოვიყვანო, ფაეტონი ვერ ამოვა, ამ ყინვაში; ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ—თუ კი მე საშუალება მომეცემოდა დამეჭირა ბინა, რატომ არ უნდა დამეჭირა. მე რეკორდისტი არა ვარ, იმის მომხრე არა ვარ, რომ არ მქონდეს ბინა და თავი შევიწუხო.

არავის შეწუხება მე არ მინდა მაგრამ თუ კი აღმოჩნდება ცარიელი ბინა, რომლის დაჭერის წინააღმდეგი არ იქნებოდა სახლის პატრონი, რატომ არ უნდა დამეჭირა.

მე ვფიქრობდი არც ს. კან. ამის უფლებას არ ართმევს მოქალაქეს, მართალია არსებობს 1917 წლის კომისარიატის დეკრეტი, ბინების რეკვიზიციის შესახებ, მაგრამ ის არ გულისხმობს, რომ ბინის დაჭერა არ შეიძლება კერძო შეთანხმებით. მხოლოდ იმაში მდგომარეობს დეკრეტის აზრი, რომ ვისაც აქვს მეტი ოთახები იმის ჩამორთმევა შეიძლება კანონის გზით.

ნურავინ ინებებს, ნურავინ იკადრებს იმას, რომ მე ვეძებდი რამდენიმე ოთახს ან საუკეთესო ბინას. მე ვეძებდი იმიტომ, რომ ავადმყოფ ბავშვს მივლა ქონდა. და სხვათა შორის მეც საშვალება მქონოდა რამდენიმე კომისიაში მე მემუშავა.

მე არ მგონია, რომ ეს დასაძრახისი იყოს და თუ ვისმე ამ სიხარბეში წილი არ მიმიძღვის, სხვები ეძიებენ სიხარბეს და ნუ ინებებთ, ამ სფეროში საკითხის გადატანას.

რა მოხდა მერე. მე განვიზრახე იმ ბინის დაჭერა, რომელიც ცარიელი იყო ლეკრიანის ბინის, თქვენ იცით რა პირობებში იყო ეს ბინა ცარიელი. მე მგონია მთავრობის თავმჯდომარე არ უარყოფს, რომ ორ თვეზე მეტია ცხრა ოთახი არის ცარიელი. (ელიავას რეპლიკა არ ისმის) დიახ ბ-ნო ელიავა, ჩვენ გვაქვს დეკრეტი 11 ივლისის, რომელიც მთავრობას და ერობებს აძლევს ნებას დროებით დაჭერის ბინები და ამისთვის მისცეს სასყიდელი, ეს კანონი იმისთვის გვაქვს, რომ როცა მისი ისათვის ბინა საჭირო არის, შეუძლია მთავრობას მოახდინოს.

უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ალბათ არ იცის კანონები, რომ ჩვენ გვაქვს კანონები, რომ ჩვენ გვაქვს კანონი, რომელიც ნებას აძლევდეს მთავრობის თავმჯდომარეს თავის განკარგულებაში დაიტოვოს ბინა, და ქირაც კი არ აძლიოს, რამდენიმე თვე ამყოფოს ცარიელი. ინებეთ და მენდეთ ერთშიც, (ჟორდანია: ვაძლევთ ქირას), რომ სურვილი არა მაქვს სხვა სფეროში გადავიტანო კითხვა. მაგრამ როდესაც მედავებიან კანონიერებაში, ამიტომ ვაცხადებ, რომ არავითარი კანონი ჩვენში არ არსებობს, რომელიც აძლევდეს ნებას მთავრობის თავმჯდომარეს იქონიოს ბინები თავის განკარგულებაში.

შეიძლება კარგი არ იყოს, მაგრამ ასეთი კანონი არ არსებობს. მით უმეტეს არ არის რიგი და წესი, როდესაც ამ ბინებს სცლიან იმ წესით, როგორც ეს მოხდა მოქალაქე ლეკრიანის მიმართ. რა მოხდა იქ იცით? მოქალაქე ლეკრიანს, რომელსაც ჰყავს ავადმყოფი, რომლის ოჯახი შესდგება 11 სულისაგან, რამდენიმე საათის განმავლობაში, მაგრამ ერთ დღეზე მეტი კი არ გასულა, დააცლევინეს ბინა და ქვედა სართულში გადაიყვანეს. ისინი კი, ვინც იქ სცხოვრობდნენ გაიყვანეს სხვაგან. მითხარით ბატონებო რომელი საჭიროებისათვის? ომი იყო, ცეცხლი, გადამდები სენი, მასიური ავადმყოფობა თუ რა იყო?

(ჯუღელი: ვისი იყო ეს ბინა, რატომ იმას არ ამბობ, ცინცაძისა იყოო). ნუ აჩქარდებით ბატონო ჯუღელო, მე არ მინდა გიპასუხოთ, აი მოგახსენებთ: ასეთი აჩქარებით იყო დაცლილი ის ბინა, და შემდეგ იცით რა მოხდა? მთავრობის თავმჯდომარე ათვალიერებს ამ ბინას და ნახულობს, რომ ეს მისთვის გამოსადეგი არ არის. ბატონებო მე ვაცხადებ, რომ ღრმა პატივისმცემელი ვარ მთავრობის თავმჯდომარის პიროვნებისა, დიდი ხანია ვიცნობ და შეიძლება ვაღმერთებ კიდეც, მაგრამ ამავე დროს ის პირები, რომელნიც ახვევიან და რჩევას აძლევენ არ უფრთხილდებიან მოქალაქის პიროვნებას, აცლევინებენ მოქალაქეს ბინას, და შემდეგ კი იკვლევა, რომ ეს ბინა საჭირო არ არის, იწვევდნენ და იწვევენ ჩემში დიდ აღშფოთებას. (ვ. ჯუღელი: ოხ, ოხ.) ბ-ნო ჯუღელო, მე თქვენ პატივს გცემთ, როგორც გვარდიის მეთაურს, მაგრამ ეს ისე უნდა შეიგნოთ, რომ თქვენ როგორც ვ. ჯუღელი შეიძლება ჩემთვის ნული იყოთ. მაგრამ, როგორც გვარდიის წარმომადგენელს პატივს გცემთ. ეს უნდა შეიგნოთ. (ს. კედია: შეიფერეთ ბ-ნო, შეიფერე) (ხმაურობა და ზარი.) აი, ბ-ნებო, როდესაც ეს ბინა, რომელიც ამ აჩქარებულის წესით იქნა დაცლილი, მთელი ორი თვის განმავლობაში დაუჭერელი და ცარიელია. და ამავე დროს ბევრი მოქალაქე არის უბინაოდ. შემდეგ მაქვს ცნობები, თქვენ გაგიკვირდებით რატომ აგროვებს ამ ცნობებს, მაგრამ თუ ქალაქის თავს უფლება აქვს ქურდულათ აგროვოს ცნობები ჩემს წინ აღმდეგ, რატომ მე არ შემიძლია მეზრუნა, რომ ბინა მეშოვნა. ამის უფლება მქონდა როგორც მოქალაქეს, ისე ზნეობრივი, იურიდიულზე შემდეგ. მე მქონდა ცნობა, რომ ეს ბინა უნდა მიეცათ ბ-ნ თავმჯდომარის პირად მდივნისათვის ცინცაძისთვის (კედია: და ამავე დროს დამფუძნებელი კრების წევრ სათვის). არა მგონია რომ ის დამფუძნებელი კრების წევრი იყოს, რადგან იმ კანონით, რომელიც ჩვენში არსებობს. არ შეიძლება შეთავსება მოხელეობისა და დამფუძნებელი კრების წევრობისა. (დ. შარაშიძე: ახლა ბევრს შეიგნებთ) დიახ, ბ-ნო დათიკო, დღეს თქვენც ბევრს შეიგნებთ. აი ბ-ნებო, როდესაც მე გავიგე, რომ ამ ბინაში უნდა დამდგარიყო გ. ცინცაძე, მე სრულიად არ მქონდა სურვილი ხელი შემეშალა იმისათვის, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მას ქონდა შესაფერისი ბინა და ამიტომ მე ზნეობრივადაც არ ვიყავი ვალდებული ანგარიში გამეწია მისთვის. ჯერ კიდევ 2 დეკემბერს თუ 3, მე მინდოდა ამ ბინის დაჭერა. (ჯუღელი: ჩაასწრო ცინცაძეს?) მე, ბატონო ჯუღელო, არ მრცხვენიან დამესწრო ცინცაძისთვის, რომელსაც ბინა-ნი ცინცაძე სარგებლობს თავისი მდგომარეობით, რომ პირადი მდივანი იყო მთავრობის თავმჯდომარისა. მე კი არაფრით ვსარგებლობდი. მე მინდოდა სახლის პატრონის ნებართვით ბინა დამეჭირა. (ჯუღელი: საქმე იმაშია, რომ ცინცაძე არ გადადიოდა და შენ კი მახეში გაები) სამწუხაროთ, ბ-ნო ჯუღელო, მაგრამ მე ვფიქრობდი, არ მინდოდა მომხდარიყო სკანდალი, სკანდალი ის იქნებოდა მე დავმჯდარიყავი, ის მოსულიყო, და ამიტომ უცადე ბოლომდის. ბოლოს დროს მე მინდოდა ბინის დაჭერა. ამას არ უარყოფს, როდესაც დავრწმუნდი, რომ ბინა უნდა დაეჭირა ცინცაძეს, რომ კითხულობდნენ, სად არის ცინცაძის, ბინა მოგვეცით შეშის დასაწყობი ადგილიო. მე ვაცხადებ, ეს არის პარტიული სისუსტე, რომ ამას ანგარიში არ გაუწიე. მაგრამ ვაცხადებ დამფუძნებელი კრების წინაშე, რომ არ ვარ ვალდებული ვაგო პასუხი იმ სადაო შემეცნებაზე, თუ რატომ არ დაუთმე და წავართვი ბინა.

მე მოგახსენებთ, რომ არ ვიყავი ვალდებული ზნეობრივად, რომ, თუ ბინა დაცლილი იყო მთავრობის თავმჯდომარესათვის, თუ მთავრობის თავმჯდომარეს ეს არ მოეწონა და მერე უნდოდა გადაეცა პირადი მდივნისთვის, ასეთ პირობებში მე ჩემს ზნეობრივ მოვალეობად არ ვსთვლიდი ამისთვის ანგარიში გამეწია. და შემდეგ მე გადავწყვიტე, რომ ეს ბინა დამეჭირა. (ჯუღელი ვალიკო: ქიაზამ ბეიხა?) ქიაზიმ ბეიზედაც მოგახსენებთ. და როდესაც მე შევიტყვე, რომ შესაძლებელი იყო ბატონ ჩხიკვიშვილს მეტი ერთგულება გამოეჩინა, რომელიც საჭირო იყო საქმისთვის, მე ვსთხოვე დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს ოფიციალურად (?)—აქ იყვნენ ბ. ალექსანდრე ლომთათიძე, კოწია ჯაფარიძე—მე ვსთხოვე, რომ, რადგან ინებეს და შეადგინეს ოქმი დამოწმებით, რომ ვითომ, მე გამოვტყუე გასაღები ათი წლის ბავშვს ამიტომ ვსთხოვე, რომ ბინის წასულიყვნენ და ეკითხათ იმისთვის, ვისაც შეეძლო მოეცა ცნობები და ამის ერთნაირი საბუთი მქონდა მე. სამწუხარო არის ისეთი მოვლენა, როდესაც მოქალაქე იძულებული არის კვალ და კვალ სდიოს დედაქალაქის თავს, რომ მან სიყალბე არ ჩაიდინოს. მაგრამ—რას იზამთ—როდესაც დავრწმუნდი, რომ სხვა გზა არ იყო, რომ სიმართლეს ფეხ ქვეშ გასთელავდნენ და კიდეც გამოლაშქრებით წამომიდგებოდნენ, მე იძულებული ვიყავი ჩამედინა ეს. მე ვამბობ, რომ თვით გამოგდება ბინიდგან ჩემთვის არ იყო მძიმე შეურაცხყოფა, ვინემ ამ ქაღალდის შედგენა, რადგან მე დავრწმუნდი (ჯუღელი: Бія себѣ въ грудь) ბატონებო, მე აქ კომედიას არ მინდა ვუყურო და თქვენ შეგიძლიანთ კომედია სხვაგან ითამაშოთ და ეს არ არის კომედია, ბატონო ჯუღელო, როდესაც ჩემი ბავშვი, რომელმაც იცის, რომ მე მოძრაობისთვის ვიყავი გადასახლებული და უყვარს რესპუბლიკა, როდესაც ის ხედავს, რომ ჩემ ავადმყოფ ბავშვს—იმის დას—მიათრევენ სხვა ოთახში, ეს კომედია არ არის (ხმა: სირცხვილი, სირცხვილი). ეს არის ტრაღედია, და სირცხვილი არის თქვენთვის (ჯუღელი: სირცხვილი იმ მამას, რომელმაც ბავშვი ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო!) და აი 1920 წელს დეკემბრის 16-ს საღამოს 6 საათზე—მე ვკითხულობ იმ ოქმს, რომელსაც შეგიძლიანთ დაუჯეროთ და შეგიძლიანთ არ დაუჯეროთ და რომელიც ძალდატანებით არ არის დაწერილი. აქ სწერია (ჯუღელი: შენ საიდგან შეხვედი?) მოგახსენებთ საიდგანაც შევედი. კითხულობს: აი, საიდგან შევედი, მე მოგახსენებთ ბატონო, მე დღესაც მაქვს—მე ვფიქრობდი, რომ ამას არ ინებებდა ღმერთი და არ მომიხდებოდა ლაპარაკი ამის შესახებ—მე დღესაც მაქვს სახლში 10 გასაღები და არავის არ მოუთხოვია (ჯუღელი: წინა კარებიდგან შეხვედი?) ბატონო, ლორთქიფანიძეს რატომღაც ჰგონია, თითქოს წინა კარებს აქვს რაღაცა უპირატესობა უკანა კარებთან. იმ სახლს აქვს ორი შესავალი—ერთი, პარადის რომ ეძახიან, დიდი შესავალი და მეორე ბებუთოვის ქუჩიდგან (ჯუღელი: заднее крылечко?!) მე არა ვარ ჩვეული заднее крылечко ებით სიარულს და მე მოგახსენებთ, რომ მეორე შესავალის და აგრეთვე პარადის გასაღებიც მე მქონდა. ამიტომ იყო, როდესაც კომისარი მობრძანდა და შინ არ ვიყავი—მაშინ ის ვერ შევიდა ვერც წინიდან და ვერც უკანიდგან. და ამაშია სწორედ საქმე. იმიტომ იყო რომ, როდესაც მილიცია მივიდა, ის ვერ შევიდა სახლში, თორემ ჩვენ საალყო წესები არ გვქონია და ბარიკადები არ გავუმართავს. ფაქტი არის, რომ მეეზოვეს ცული მოსთხოვეს, რომ გაეჭრათ კარები. არა მგონია ივანე ქარცივაძე—ადმინისტრაციის ინსპექტო-

---

ქუთაისის ერობის ცენტრალური საავადმყოფო

(ყოფილი სამხ. ჰოსპიტალი)

გაიხსნა პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა შემდეგი განყოფილებებით.

1. ქირურგიული	120	საწოლი
2. ტერაპევტიული	140	„
3. გინეკოლოგიური და საბებიო	30	საწოლი
4 კანის და ვენერიული	50	საწოლი
5. გადამდებ სნეულებათა	40	„
6. თვალის და კბილის	20	„

საავადმყოფოს უფროს დოსტაქრად მოწვეულია მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პრივატ-დოცენტი ა. ვ. ტიხონოვიჩი.

განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტი ექიმები.—

ქუთაისის ერობის გამგეობა

რა—იყოს გიმნასტიური ვარჯიშობის მოსურნე, რომ უსათუოდ თავისი მოხელეები ბოძებზე აიყვანოს. რომ კარები ღია ყოფილიყო, რომ კარები მე არ ჩამეკეტა შიგნით და მე რომ გასაღებები არა მქონოდა, თავის თავად ცხადია იმათ არ მოუხდებოდათ ასე ვარჯიშობა. ეს იმას ამტკიცებს, რომ მე ქურდულათ არ შევსულვარ და ეს მტკიცდება იმით, რომ თვით მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა რომ ნინიძემ თითონ დაიძახა ტელეფონით, რომ ოთახი დავიჭირეო. დიახ, მე ავიღე ტელეფონი და დაუძახე, რომ გადაეცით ცინცაძეს, რომ ბინა უკვე დავიჭირე (ხმა: ჩაასწარი?) ბატონო, დავასწარი. (ხმაურობა) ეს—ზნეობაზე იმან ილაპარაკოს, ვისაც აქვს ამის უფლება. მაგრამ მე მოგახსენებთ კანონზე. ამის შემდეგ მე, როდესაც უკვე დაბინავებული ვიყავი, გავიგე, რომ ეს ბინა უნდა გადაეცათ ქიაზიმ ბეისთვის. (ჟულელი: იქამდის არ იცოდი!) უბედურება იმაში არის, რომ უმთავრეს არგუმენტად ქიაზიმ ბეი გამოიყვანეს. —ეს არის, ასე ვსთქვათ, საგარეო საფრთხე. როდესაც კაცს აკლია არგუმენტი, საბუთი აკლია, მაშინ ახდენს იმას, რაც ბ. ჩხიკვიშვილმა ჩაიდინა, რომ არ გამიჩხრეკია, ავწერეო. როდესაც მას საბუთი არა აქვს, დაიჭერს, შეაშინებს და მერე ოქმს შეადგენს, რომ ასე იყოვო. მე ვამბობ, რომ (ჟულელი...) მაგრამ ჟულელო, გთხოვთ შეიგნოთ, რომ არის ორნაირი არ კუთვნილება; როდესაც კანონიერად არ ეკუთვნის და როდესაც უკანონოდ არ ეკუთვნის. თქვენ დამიმტკიცეთ, რომ თქვენ კანონის ძალით ჩამოართვით. და, თუ თქვენ გგონიათ კანონი, რომ პირადი მდივანი მიდის და ქალებს ანაწილებინებს ოთახებს, ხან იმნაიშვილს აძლევს და ხან ვის—ეს არ არის კანონი. ეს რომ კანონი იყოს, იცით ჟულელო, მაშინ ყველა ღონიერი გააჩენდა კანონს, ის იტყოდა ეს არის ჩემი კანონიო. დღესაც არიან ასეთი კაცები და მე ბატონო ჟულელო, მუშტის კანონზე არ მოგახსენებთ, იმ კანონზე, რომელნიც ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს (ხმაურობა).

(თავმჯდომარე: გთხოვთ, დამშვიდდეთ. გთხოვთ მოუსმინოთ ორატორს. ზარი.)

ი, ბატონებო, მე მივიღე მილიციის უფროსისაგან ტელეფონოგრამა ორშაბათს, რომელშიც ეწერა, რომ მე მემლოდა წინადადება გავსულიყავი ბინიდან და ეს ბინა გადამეცა ქიაზიმ ბეისთვის. (ჟულელი: და თქვენ უთხარით ესისხლოთ არ გავალო!) საიდან იცით, ბატონო. თქვენ ნება არა გაქვთ იფიქროთ, რომ მე არ მქონდა შეგნება იმისა, რომ არ ვარგოდა ქიაზიმ ბეისთან დავა. ის წარმომადგენელი არის უცხო სახელმწიფოსა—მე ამის შეგნება მაქვს მაგრამ მე აღმაშფოთა იმ კილომ და ბრძანებამ, რომელიც მე მივიღე და სადაც წინადადება მეძლეოდა დაუყონებლივ დამეცალა ბინა. ეს მოიტანა კომისარმა დამფუძნებელ კრების კულუარებში. მას ჩხიკვიშვილიც შეესწრო. სხვათა შორის მაშინ გამოირკვა რომ ქალაქის მილიცია უკვე მისულიყო ჩემ ბინაზე. ის მე განუცხადე ჩხიკვიშვილს და მაშინ მან აასრულა თავისი მოვალეობა და ასწერა მილიციის უფროსს, რომ მილიცია წასულიყო იქიდგან და, მართლაც, მილიცია წავიდა. მაგრამ ამ უკანონო ბრძანებას მე დავაწერე, რომ არსებული კანონების ძალით ჩემთვის არ იყო სავალდებულო მილიციის უფროსის ბრძანების ასრულება. მე, ბატონო, ვფიქრობ, რომ ამით დავიცავი დეპუტატის ღირსება.—დეპუტატობა ჩემთვის არც ჟულელს უბოძებია და არც სხვა ვინმეს. ხალხმა დამავალა, რომ დავიცვა ეს უფლება. უმთავრესი ის კი არ იყო რომ ქიაზიმ ბეის გადაეცემოდა ის ბინა თუ სხვას, უმთავრესი იყო, რომ ჩვენ გვაქვს კანონი და ამ კანონის ძალით მილიციის უფროსს არ ქონდა უფლება მოეცა ჩემთვის ეს წინადადება პრეზიდიუმის გარეშე. და რომ ეს წინადადება მოსულიყო პრეზიდიუმის საშუალებით, რომელიც მე [illegible], რომელსაც მოველაპარაკებოდი და—მე დარწმუნებული ვარ—ეს ინციდენტი გამოირკვეოდა, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ თქვენ გგონიათ, რომ ფრაქციაში გვყავთ ისეთი კაცი, რომ ამ კაცს უნდა შეურაცხყოფა მიაყენოთ, ბავშვები აუჭიროთ ყოველ შემთხვევაში იქვე ნება გაქვთ სხვა რამე დამაბრალოთ, მაგრამ ვერ დამაბრალებთ იმას, რომ მე აქედენი ჭკუა მაინც არა მაქვს. საქმე იმაში იყო, რომ მე მინდოდა, როდესაც ასე დავაწერე, ამ გზით გამორკვეულიყო საქმე. და იცით მე რას მოველოდდი? მე მოველოდდი, რომ დამიძახებდა ან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, ან მთავრობის თავმჯდომარე და მომელაპარაკებოდა ამის შესახებ. (ჟულელი: მთავრობის თავმჯდომარეს რაღა უფლება აქვს დაგიძახოს?) ჟულელი აქ ტყუილად თამაშობს რაიმე კომედიას. მთავრობის თავმჯდომარეს ეს უფლება აქვს იმიტომ რომ ის არის პარტიის თავმჯდომარე. მე ვარ ფრაქციის წევრი და, თუ მთავრობის თავმჯდომარე დამავალებდა, ამას მე ალბად უსიტყვოდ დავემორჩილებოდი. მიტომ რომ მე არასოდეს არ გახლავართ ისეთი ხარბი რომ მე ქიაზიმ ბეისთვის ბინა წამერთვა და ჩვენი მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გამოირკვეოდა რიგიანი გზით. ამიტომ იყო რომ მე ორშაბათს გიახელით ფრაქციის სხდომაზე, იქვე ბრძანდებოდა იუსტიციის მინისტრი და არაფერი არ უთქვამს ჩემთვის, თუ მთავრობა რა ზომების მიღებას აპირებდა. პირიქით, ბატონი არსენიძე ხუმრობით მეუბნებოდა —ამოდენა ბინა რომ გაქვს იქნებ ერთი ორი პროკურორი დააყენოვო ბ. ჩხიკვიშვილი მეუბნებოდა—შენი სახლის პატრონი შეწუხებული არის და იმას დაუთმე ოთახებიო. იმნაიშვილთან მე მქონდა მოლაპარაკება ამ ბინის შესახებ. თუ თქვენ გგონიათ, რომ მე მთელ იმ ბინას დავიჭერდი—ეს ასე არ არის სწორი. ასეთი მოლაპარაკება იყო და მეგონა რომ სრულებით თავი დამანებეს. ეს იყო ორშაბათ საღამოს. მე მოველოდდი რომ სათანადო გზით მე მეცნობოდა განცხადება პრეზიდიუმის საშუალებით ან ისეთ ორგანოს საშუალებით, რომელსაც ამის უფლება ექნებოდა, მაგრამ იცით ბატონებო, სამშაბათს ორ საათამდე მე არაფერი არ ვიცოდი. და როდესაც მე აქ ვიჯექი, მაშინ მოვიდა ჩემი ბავშვი კვესტურაში და განაცხადა, რომ მოვიდნენ მილიციონერები და გაგვყარეს გარეთო, და თქვენ თუ ეს ხუმრობა გგონიათ—ამ სახით ვის ქონდა ნება, რომ გამოეგზავნა იქ საგანგებო რაზმი? ამის ნება, მე მგონია, არ ქონდათ. არ ქონდათ არა იმიტომ რომ მე ვარ დამფუძნებელი კრების წევრი, არა,—იმიტომ რომ მე ვარ თუნდაც უბრალო მოქალაქე, მეკურტნე მუშა, რადგან დემოკრატიულ წყობილებაში სწორედ ასეთი წესრიგი უნდა იყოს დაცული. და მილიციის უფროსმა ბ. ჩხიკვიშვილმა უნდა იცოდეს, რომ, თუ 24 საათი კაცს ბინა უჭირავს (ჩხიკვიშვილი: შენც მილიციის უფროსი იყავი გორში მაგრამ წაინც არ დაჭკვიანებულხარ) მე ყოველ შემთხვევაში ჭკუაზე არ გელაპარაკებით. და აი მე მოგახსენებთ რომ სრულიად არ იყო საჭირო იერიშის მიტანათ ჩემ ოჯახზე. წარმოვიდგინოთ, რომ უკანონოთ დავიჭირე ბინა და მთავრობას ქონდა კანონიერი უფლება ის ჩამოერთმია ჩემთვის, მაგრამ უბრალო რიგიანობა მოითხოვდა, რომ ეს გამოეცხადებიათ ჩემთვის, რა ნება ქონდათ აგენტებს, რომ როდესაც მე აქ ვიჯექი, და თქვენთან ერთად ვკანონმდებლობდი მისულიყვნენ იქ ჩემ ოჯახში და ბავშვი გარეთ გამოეყარათ. ეს არა თუ კანონიერია არც იყო დასაშვები. რა საჭირო იყო ბოძებზე სიარული, როდესაც შეიძლებოდა კარებით შესვლა. (ჟულელი იცინის) თქვენ იცით, ჟულელო, არსებობს კანონი, რომელზედაც ხელი უწერია ჩვენი მთავრობის თავმჯდომარესაც, დეპუტატის შეუვალობის კანონი, სადაც სწერია, დამფუძნებელ კრების წევრის ბინაში შესვლა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით და პრეზიდიუმის ნებართვით და არა ისე, როგორც ჩხიკვიშვილი გზავნის აგენტებს ბინის გასაჩხრეკად დავითის შესახვევში იმ კანონში არის გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ დამფუძნებელ კრების წევრს შეუძლია ჩაიდინოს ბოროტმოქმედება, მაგალითად მე მაქვს ნაქურდალი ნივთები, საჭირო არის სახლის გაჩხრეკა, ამ შემთხვევაშიც, მთავრობაც რომ დარწმუნდეს, რომ მე მაქვს ნაქურდალი ნივთები, კანონით არ აქვს უფლება შემოვიდეს ჩემ ბინაში. ამისთვის მან უნდა აიღოს ნებართვა პრეზიდიუმისაგან და მერე შემოვიდეს, (ლეო ნათაძე: თუ შეუშვით კი) ბატონო ნათაძე, თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით და უნდა გაგახსენოთ ერთი ამბავი. მეეტლეს მიქონდა „сороковка" შევიდა დედაკაცი, რომელმაც გატეხა ეს სოროკოვკა. რა ქნა იცით მეეტლემ? — მოკლა დედაკაცი. როცა კითხეს რათ მოკალიო მეეტლემ სთქვა: „и жона сороковку разбила". თქვენც ასე მსჯელობთ და სამწუხარო არის, რომ მთავრობის ზოგიერთი წევრებიც ასე მსჯელობენ, რაკი გადაწყდა, რომ მე უკანონოთ შევედი ბინაში, ისინი ბოძებზე უნდა ასულიყვნენ და ბავშვები გარეთ უნდა გაეყარათ. ბატონებო, ეს შესვლა მათი იყო ყაჩაღური და რომ მე ღონიერი კაცი ვყოფილიყავი და მომეკლა ის კაცი მე დამნაშავე არ ვიქნებოდი, კანონი მე გამამართლებდა, რადგან ბოროტებით მხოლოდ ყაჩაღები შედიან სახლებში. მე გეკითხებით თქვენ, რა საჭირო იყო მისვლა იქ როდესაც იქ არც ჩემი ცოლი იყო და მხოლოდ 2 ბავშვი იყო სახლში. როდესაც აგენტები მიდიოდნენ და აკაკუნებდენ კარებს, ჩემი ბავშვები უპასუხებდნენ: „подождите, мамы и папы нѣтъ дома" და აი ქარცივაძემ, რომელიც ალბად გმირი არის, დაასწრო ჩემ იქ მისვლას და ბოძებიდან შეიჭრა ჩემ ბინაში, ამას მოჰყვა ჩემი პირადი შეურაცხყოფა, რასაც მე ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევ, რადგან თავი და თავი ის არის, რომ დამფუძნებელი კრების წევრის უფლება დარღვეული იყო და ესისრეებმა, რომელნიც მე იქ დამხვდნენ ასრულეს ის, რაც მონდობილი ქონდათ და შემთხვევითი არ იყო ის რომ კომისარი, რომელმაც არ აასრულა უკანონო ბრძანება დღეს დაჭერილი არის. აი რა უთხარი მე მილიციელს, როდესაც მე ოთახში შევედი: რომ მოსულხართ ჩემ ბინაზე, ამის უფლება არ გაქვთ, მე მოვთხოვე ორდერი, რომლის ძალით შემოვიდნენ ჩემ სახლში, ისეთი ორდერი არ აღმოაჩნდათ. მე უთხარი, მადლობა ღმერთს მე არ ვარ ღონიერი კაცი, უიარაღო ვარ, თორემ რომ შემოდიხართ, ვინ ხართ. მე უთხარი, მართალია თქვენ გქონდათ ბრძანება ქარცივაძის და შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჭავჭანიძის, მაგრამ კანონის ძალით პასუხისმგებელი არის არა მარტო ის ვინც უკანონო ბრძანებას სცემს, არამედ ისიც, ვინც ამ უკანონო ბრძანებას ასრულებს. ეს მე აუხსენი მათ. შეიძლება ჟულელმა დამცინოს, რა საჭირო იყო ამის თქმა გაველურებულ ხალხისათვის, რომელთაც ავადმყოფი ბავშვი არ დაინდეს და მწარედ გამოაგდეს. მე არ დამიკარგავს იმედი, რომ მთავრობა ასეთ სისაძაგლეს არ ჩაიდენდა, ეს ახლაც მწამს და მე გამოვიჩინე ეს გულუბრყვილობა და უთხარი ამ საქციელისათვის თქვენ დაისჯებით. იცით რა მითხრეს?—დამფუძნებელი კრების წევრი ხართ და ასე ამბობთ, აი კომისარი, რომელმაც არ აასრულა ბრძანება, დაიჭირეს, ჩვენც დაგვიჭერენ და რათ გინდათ ჩვენი ცოლშვილის ცოდვა. ამას ველაპარაკებოდი ორ მილიციელს, სამი იქით ოთახში ყოფილიყო, და რომ გაიგონეს ეს ლაპარაკი, გამოვიდნენ და მიბრძანეს იქით ოთახში გავსულიყავი. მე უთხარი, რატო ყვირით? მე იარაღი არა მაქვს, როგორც ხედავთ ღონეც არ მაქვს. როცა უთხარი, დამიჭირეს, მტაცეს ხელი გადმიბრუნეს ხელები და მიმაწვინეს კედელზე. (კედია. საზიზღრობაა, დასამბოია.)

(დადიანი. ესეც სასაცილოა ბ-ნო ჟულელო.)

(ჟულელი. სასაცილოა როდესაც დეპუტატი ასეთ მდგომარეობაში ჩააყენებს თავს.)

—ბ. ჟულელო, დეპუტატიც არის და დეპუტატიც. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მე რამდენჯერმე გახლდით დაჭერილი და გადასახლებული, მაგრამ ასეთი სისაძაგლე ჩემ პიროვნების წინააღმდეგ არავინ არ ჩაუდენია. როდესაც მოდიოდნენ გასაჩხრეკათ მოქონდათ ორდერი, დაუძახებდნენ სახლის პატრონს და მოიყვანდნენ მოწმეებს და ბ-ნი ჩხიკვიშვილი კი ისე ახდენს გაჩხრეკას რომ მარტო პატარა გოგო უყურებს ეს რომ დამახასიათებელი იყოს ჩვენი წყობილებისთვის რომ ვიცოდე რომ ჩვენი მთავრობა ასე იქცევოდეს მე ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი... (ჟულელი. ეხლა სად დაჯდები?.)

ყოველ შემთხვევაში არ ვარ დაჩვეული სხვაგან ჯდომას. (მგელაძე: ჟულელი: უშლის ხელს. მგელაძე. დაეთხოვე, კაცო რა მოგივიდა. თავმჯდომარე: გთხოვთ დაწყნარდეთ).

მე დამოუკიდებლად ჯდომა შემიძლიან. მე მინდა დავასრულო ჩემი სიტყვა. რა არის დამტკიცებული. ჩემთვის პირადად არ არის ჯერ დამტკიცებული, რომ მთავრობამ ეს ჩაიდინა, ეს არ არის დამტკიცებული, ამიტომ მოვხსენი ჩემი შეკითხვა. ხოლოდ ის განმარტება რომელიც წარმოადგინა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გამოხატავს ისეთ აზრებს და ისე ყალბ თ აშუქებდა ფაქტებს, რომ იძულებული ვიყავი პასუხი გამეცა. ჩემთვის დამტკიცებული არის, რომ ქარცივაძემ და ჭავჭანიძემ (შენგელაია. რომელი ჭავჭანიძემ).

ივანე ჭავჭანიძემ, ამ ორმა კაცმა გასცეს უკანონო ბრძანება. და მე ეს სამწუხაროდ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია ეს ის, რომ ბინა, რომელიც მე მეჭირა, იყო სადავო ბინა და თუ სადავო იყო, თავისთავად ცხადია, იმას ვინც დაობს, არ აქვს უფლება გაგაგდოს. ჩვენ უნდა შევითვისოთ, რომ როცა დავა არის ეს დავა უნდა გადაწყვიტოს მე-3-ე პირმა და არა მოდავემ. ამ შემთხვევაში მთავრობა მოდავე იყო, და ერთი ძლიერი არგუმენტი ქონდა საგანგებო რაზმის შეიარაღებული ძალა და უნდა სცოდნოდა რომ მე მას ვერ დავამარცხებდი. მაგრამ იმავე დროს რო არის ჩვენში

კანონი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რაც სადაო არის უნდა გადაწყვიტოს მე 3-ე პირმა და არა იმან ვინც დაობს. და რომ ეს სადავო იყო, მაქვს პატივი მოგახსენო ს. დ. ფრაქციის დადგენილება: „მოისმინა რა კ. ნინიძის განცხადება....,

(ჟულელი: მერე რაშია საქმე?)

საქმე იმაშია, რომ მთავრობას უნდა მიემართა ჩემთვის პრეზიდიუმის საშუალებით ეს 1 მე-2 ე რაკი სადაო ბინაა არ უნდა გამოერთვა და ეს უნდა გადაეწყვიტა მე-3 ნეიტრალურ პირს. ეს უნდა გამოირკვეს. დამნაშავენი პასუხს გებაში უნდა იყვნენ მიცემულნი და მე სრულიად კმაყოფილებს მთავრობის განცხადება და გამოველ მხოლოდ იმ ყალბი ინფორმაციის დასაფანტავათ, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მოგაწოდათ.

(ჟულელი: ფრაქციის დადგენილება არის, რომ ნინიძე უკანონოდ შევიდა.)

რომაელები ამბობენ, რომ პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო უკეთესიაო. და ამ ჭეშმარიტების დასაცავად გამოვედი აქ.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ჟორდანიას.

კ. ნინიძის გადაცემა პარტიულ სასამართლოში.

27 დეკემბერს შესდგა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

კირილე ნინიძემ დამფუძნებელი კრების 24 დეკემბრის სხდომაზე ჩაიდინა ყოვლად დაუშვებელი და პარტიულ დისციპლინის და ინტერესის თვალსაზრისით სრულიად შეუწყნარებელი საქციელი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მან დაარღვია ფრაქციასთან დადებული შეთანხმება და გაილაშქრა საჯარო სხდომაზე მის წინააღმდეგ.

ამიტომ ფრაქცია სთხოვს ცენტრალურ კომიტეტს დაუყონებლივ მისცეს კირილე ნინიძე პარტიულ სამართალში საბოლოო მსჯავრის დასადებათ.

დამატება: დროებით პარტიული სასამართლოს მიერ საბოლოო მსჯავრის დადებამდე კ. ნინიძე გადაყენებულ იქნას ფრაქციის წევრობიდან.

„ერთობა"

ბრძანება

ქ. თბილისის გარნიზონისადმი

№ 10.

28 დეკემბერი 1920 წ.

31 დეკემბერს ქართველ-სომეხ ომის გათავების დღეს საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ყველა თავდადებულ ქართველ მხედართა მოსახსენებლათ სამხედრო ტაძარში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი.

ვბრძანებ: ყველა სამხედრო ნაწილებმა, რომელნიც სდგანან თბილისში გამოიყვანონ თითო ასეული უიარაღოთ სამხედრო ტაძარში 11 საათზე.

ყველა ოფიცერებმა და სამხედრო მოხელეებმა, რომელნიც თავისუფალნი იქნებიან სამსახურის მოვალეობიდან დაესწრონ პანაშვიდს.

დედანს ხელს აწერს: გარნიზონის უფროსი გენერალი მაზნიაშვილი.

დედანთან სწორია: თბილისის კომენდანტი პოლკოვნიკი ვაჩნაძე.

ფრონტს დამხმარე მთავარ კომიტეტში.

სია

შემოწირულ ნივთებისა და შემომწირველთა.

37. კოოპერატივთა კავშირისაგან: ძაფი 7 დუჟინი, შალი კავკასიური 5 აქვთი, წინდები 9 წყ.

38. თბილისის კოოპერატიულ დუქნიდან: კონსერვი 50 ბან. თამბაქო 5 გირ. პაპიროსის ქაღალ. 270 ც. საპონი 30 გირ. ასანთი 100 კოლ. კალბასი 14 სამი მეოთ. გირ.

39. ნიორაძისაგან მოტანილი ქალაქთა კავშირისაგან; ქვეითა საცვალი 30 ც. საპონი 1 ფუთი კონსერვი 10 ც. წინდები 10 წყ. ხელთათმანი 30 წყ. პაპიროსი 10 კოლ.

40. ნიორაძის მიერ მოტანილი მიღებული „ტვიტისაგან": ბამბაზია 20 არშ. ნემსები 2 პაჩ. ძაფი 4 კოჭი ფაფხი 1.

41. ნ. პივოვაროვისა და დ. კარლინსკისაგან 25.000 მან.

42. სიმიონოვისაგან: 150 მან.

43. ექიმ ილია დიმიტრის ძე ბეგთაბეგოვისაგან: 10.000 მან.

44. საქართველოს აფთიაქთა კავშირის კოოპერატივის „ზაკო"-საგან 10.000 მან.

45. თამარა და გიორგი კიკნაძისაგან 2.000 მან.

46. ივანე კიკნაძისაგან 1,500 მან.

47. ილია მიხეილის ძე საფაროვისაგან 1.500 მან.

48. ბ. კ. ვიგმანისაგან 3.000 მან.

49. იოსებ დავითის ძე ციციშვილისაგან 3.000.

50. გაზეთ „ერთობა" საგან მანსვეტაშვილის ხელით 79.950 მან.

51. ევგ. ალექსანდრეს ასული და ვას. დიმიტ ძე ლეონიძისაგან 2.000 მან.

53. ბუდნიკისაგან 5.000 მან.

53. გიორგი და ელენე ბაგრატიონ მუხრანსკისაგან 25.000 მან.

54. ივანე კაკაბაძის ხელით სამტ. რკინის გზის რაიონულ გამგეობასთან არსებულ მეომართა დამხმარე კომიტეტის მიერ შეგროვილი 10,362 მან.

55. ივანე მიხეილის ძე სუმბათაშვილისაგან ფულად 30.000 მან.

56. მარკი ისაის ძე დოლუხანოვისაგან. 3.000 მან.

57. რუბენ თავდიშვილისაგან 25.000 მან.

59. მ. მ. კაცისაგან 5.000 მან.

60. ზინგერისაგან 10.000 მან.

61. სიმონ მეზრუჩკოსაგან. 25.000 მან.

62. სავაჭრო სახლი „ძმური საქმე" ფულად 25.000 მან.

63. [illegible] მიხეილის ძე ბილანიშვილისაგან 30.000 მან.

64. სავაჭრო სახლი (ივანოვისაგან 10.000 მ.

65. ალექსანდრე სვიმონის ძე ლორთქიფანიძისაგან 10.000 მ.

66. [illegible] ნერა მიხეილის ასული ვოლკოვისაგან 5.000 მ.

67. იუსტიციის სამინისტროს საბუღალტრო განყოფილებისაგან—176 მ.

68. ადამ-ალა მეხტიევისაგან 25.000 მან.

69. უცნობისაგან 5.000 მან.

70. ალექსანდრე სპირიდონის ძე ზედგინიძისაგან 100.000 მ.

71. ძმათა მარუშევებისაგან 5.000 მ. ნ.

72. გაბრიელ ზაქარიას ძე ქელიევისაგან 5.000 მან.

73. ლევან ალექსანდრეს ძე ისრაელოვისაგან 10.000 მ.

74. ძმათა ი. და შ. კაცისაგან 25.000 მან.

75. ძმათა ი. და ე. ლომთაძეებისაგან 50.000 მან.

76. გიორგი გრიგოლის ძე შადინოვისაგან 50.000 მან.

77. კოოპერატივ „[illegible]" საგან ქ. ა. ნიორაძისაგან ასანთი 100 კოლოფი პაპიროსი 100 კოლოფი კონვერტი და ქაღალდი 200 ცალი ფანქარი 50 ცალი ძაფი 40 შოლო წიგნებ-კალენდარი 20 ლილა 5 კოლოფი ღილები 220 კაკალი, თხილი და ჩირი 1 ფუთი ჩოთქები 14 ხელის საპონი 25 სარეცხი 5 გირ.

78. წინდების კომისიისაგან ნაყიდი და შეწირული წინდები 129 რწყ ნაბდის ჩექმები 6 რწყ.

79. ბ. სიმონიანცისაგან ბაკლაჟკები 200 კოვზები 100 ფინჯანი 100.

80. სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტისაგან ბუმაზეა 200 არშ. საცვალი 50 რწყ. თბილი საცვ. 50 რწყ. თბილი საცვ. 50 რწყ. თბილის საცვ. 25 რწყ.

81. ქ. მაისურაძის ხელით თბილისის კოოპერატივისაგან ფლანელი 30 არშ. ძაფი 29 კოჭ.

82. თბილისის სასაკლაოსაგან ძეხვი 5 ფუთი საპონი 5 ფუთი.

(შემდეგი იქნება.)

ძველი მხატვრობის სურათთა გამოფენა.

(ეროვნული გალერეა).

ძველი მხატვრობის სურათთა გამოფენა უსათუოდ გამოაცოცხლებს თბილისის ხელოვანთა ცხოვრებას. იმ დროს, როდესაც პირველხარისხოვან მსახიობთა მონაწილეობით მუსიკალურმა ცხოვრებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია, (კონცერტები, ბალეტი, ოპერა) ხელოვანთა ცხოვრება მოდუნებულია. ეს იმით აიხსნება, რომ სურათების გამოფენის მოწყობა უფრო რთულია, ვიდრე კონცერტების გამართვა. იმ აღმშენებლობითი ხანაში, რომელსაც ეხლა საქართველო განიცდის, სურათების გამოფენა დიდ ღირებულებას წარმოადგენს და ამიტომ არ შეიძლება არ მივესალმოთ ამ გამოფენის მოწყობებს.

გამოფენაზე სამი განყოფილებაა—პირველ განყოფილებაში არის ქართული, სპარსული და ადგილობრივი მხატვრობა, მეორეში—დასავლეთ ევროპის მხატვრობა, ხოლო მესამეში—ფრანგული ჩუქურთმა და ნახატები.

ყველაზე საყურადღეო და მნიშვნელოვანი არის სპარსული მინიატურები და სპარსული ნახატები. რამდენი სიმახვილე, რა მსუყე ფერადობა და მძლავრი კომპოზიცია გამოკრთის მათში. რა დიდებული, რა გენიოსურია თავისის სისადავით! როგორ გაღელვებს თვითეული მათგანი და თან როგორ გამშვიდებს! რა დიდი კავშირია აქ ბუნებასა და ხელოვნებას შორის!

შესანიშნავია აგრეთვე დიდი ზომის სურათები მეცხრამეტე საუკ. ამავე სპარსული მხატვრობისა. (სურათები №39, 40, 41) მიუხედავათ იმისა, რომ ამ სურათების კომპოზიციას და მხატვრობას ევროპის გავლენა ეტყობა, მაინც ჰგრძნობთ თავისებურობასა და ძლიერ ხელოვნებას.

საყურადღებოა ექვსი ასლი ერევნის სასახლიდან. დანარჩენ ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია: № 4—„ღვთისმშობელი ყრმით" და № 5—„ანტონ კათალიკოსი".

პირველ განყოფილებაში აღნიშნულია ქართული და ადგილობრივი მხატვრობა. ქართული ეწოდება იმ სურათებს, რომელთა ავტორებიც ქართველები არიან, ხოლო ადგილობრივი—იმ სურათებს, რომელთა ავტორებს უცხოვრიათ და უმუშავნიათ საქართველოში.

ადგილობრივი და ქართული მხატვრობა მეცხრამეტე საუკუნისა ვერ არის დიდი ღირსებისა. საინტერესოა ერთი სურათი—„ძველი თბილისი"—სასიამოვნო სანახავია თავისი სტილით და ხალხოსნური ფერით. დანარჩენი სურათები, რომლებიც გამოხატავენ თბილისსა და თბილისის ცხოვრებას, საყურადღებონი არიან, როგორც ისტორიული საბუთები, ვინაიდგან ხელოვნება მათში ისე ძლიერი არ არის.

ფრანგულ ჩუქურთმათა და ნახატების განყოფილება, ისე როგორც განყოფილება დასავლეთ-ევროპის მხატვრობისაც—დიდათ საყურადღებო არ არის. ეს განყოფილებანი მეორეხარისხოვანი და საყურადღებოა მხოლოდ იმათთვის, ვისაც შემთხვევა არა ჰქონია ევროპის დიდ ქალაქებში უშუალოდ დამტკბარიყო მხატვრობის შედევრთა მზერით. ყოველ შემთხვევაში აქ,—ამ გამოფენაზე თქვენ ხედავთ რენბრანდს (თუმცა არა უნაკლულოს), ლუკას კრანახსა და სხვათ. აქვე არიან ჰოლანდიელები, აქვე ხედავთ ვენეციელებსა, ფრანგულ და რუსულ მხატვრობას. სავსებით გიცნობთ სალვადორ როზას ჰოლანდიელ ხელოვანთ და სხვა.

ჩვენ არ გვავიწყდება, რომ გამოფენის მომწყობებმა ისარგებლეს მხოლოდ იმ მასალით, რომელიც დღეს მოიპოვება და ამით შეასრულეს მეტად მძიმე და დიდი კულტურული საქმე, რისთვისაც ერთხელ კიდევ ვუძღვნით სალამს დიდი თაოსნობისათვის...

მან—კაც.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ვ. კედია.

თვალების [illegible]
ექიმი
მ. გოლდშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფ
მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე
ღამის 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. №

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილ
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება)
ნისა, ვენერიული და საშარდო ო
ნოს სნეულებანი. იღებს ავადმყო
8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამ
ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარია
სახლი. 3205

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ა
მყოფებს დილის 8—12 ს. ვენერი
სიფილისი (შეშხაპუნება 606 და
და საშარდე ორგანოთა საღ. 5—
გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ.
თხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 32

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათ
მიხეილ მეძვანიშვილ
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 ს
არის საწოლები. ყორღანოვის ქ.,
ვერაზე. ტელ. 9—71. 3102.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის ს
დრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძ
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავ
მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და
ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპ)
კვლევ მალეინის შეშხაპუნებით.
ცურის სასულე—მილის ავათმყოფ
ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის"
თოდებით. ვიძლევი დარიგებას „
ოტებნიაზე" (საქონლის მოვლა მ
ნება). დილის 9—10 საათ. და
3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინ

ექიმი
ა. ე. ლევ შტეინ
იღებს რენტგენისა და ელექტრონ
შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და
რეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებ
შინაგან ორგანოთა და პრილობათა
მოკვლევას. წამლობა დიდი ძალის
კით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5,
ნა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4 7 საათამდე.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბი ნ
შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრ
გულისა. იღებს რენტგენის, ელექტ
წამლობის კაბინეთში.
წამლობა X-ს სხივებით.
რაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ
დილის 9—12 საათამდე და საღ. 6
საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23,
ფონი 7—92.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფებ
მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტას
ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 320

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოშვილი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნე
ლებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღ
5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვა
ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილ
№ 3208.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყუ
ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1ნა
საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალ
ქსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი
მლობა ახალი და ძველი სუსუნა
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება)
ადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საა
დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11
ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4.
ლის აფთიაქის პირდაპირ.